

თეატრი

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დაშლევამდის 3 მან; ხუთი თვით 2 მან.

1877—1906

ადრესი: ცფილისი, ფრეილინის ქ., №5. ცფილეთ. № 922.

სარჩივი:—**ცობა რამ ქართულ თეატრზე**, მეგობრისა.—**პატარა ფიქრები**, ა—ლისა.—**საქართველოს საკითხი რუსეთში**, კ—ისა.—**სათბობრო და ვაზ**, „ლაშქარი“, სვ. შ—შვილისა.—**რუსეთის ცხოვრება**, გ—ისა.—**ნაწყვეტი**, (ლექსი) დ. თომაშვილისა.—**გოლება თანამედროვე წინასწარმეტყველისა**, (ლექსი) ვაჟა-ფშაველასი.—**აგარაღლი რეფორმები ირლანდიაში**, მ—ი'ა.—**დაბრუნდა!** სვ. ყიფიანისა.

ცობა რამ ქართულ თეატრზე.

თეატრის სეზონი გათავდა. ქართულმა თეატრმა, როგორც იყო, გააჩანჩალა თვეები და დიშაოა, როგორც დაიშლება ხოლმე ყოველ წელს: ქრონიკულ დეფიციტით და ცარიელ კასით, რომელმაც უკვე დიდი ხანია თავი გაკოტრებულად აღიარა და არტისტებს დააკლო ის გროშებიც კი, რომლითაც მათ ასაზრდოვებდა.

არტისტები დაიშალენ, ჯაუფებად დაიყვნენ, ზოგი მარჯნივ წაიდა, ზოგი მარცხნივ და ამ გვარად ეძებენ საზრდოს, როგორც თავისთვის, ისე თავის ოჯახებისთვის. გაივლის ზაფხული, დადგება შემოდგომა, დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ვაი-ვაგლახით მოუყრის თავს გაფანტულ არტისტებს, დაიწყებს სეზონს და სეზონი ისევე გათავდება დეფიციტით და ცარიელ კასით.

ასე და ამგვარად ტრიალებს ჩვენი თეატრის ჩარხი და მისი სიჭარბე არც იმატებს, არც იკლებს. ჩარხის ღერძი კი ცვდება. თეატრის დღეები დათვლილია, სხეული მისი დასწეულბულ-დაუძლიერებელია და მას ეჭირება სერიოზული ოპერაცია და არა ის „წამლები“, რომლებსაც თეატრს ასმევს დრამ. საზოგ. გამგეობა და, როგორც გულყეთილი, მაგრამ უფიცი ექიმი, არც არჩენს და არცა ჰკლავს.

ღიახ, ოპერაციია საჭირო. ოპერაციისთვის კი საჭიროა ავადმყოფობის გამოკვლევა, შესწავლა, გამოკნობა და უებარ წამლის გამოგონება.

აქ ჩვენ ვერ დავიტრიალებთ, რომ ავადმყოფობასაც კარად გამოვიკვლევთ და უებარ წამლსაც გამოვძებნით. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ ჩვენს აზრს და ამით იმედი გვაქვს გამოვიწვევთ თათბირზე მკოდნე პირებს. რომლებიც გარკვევენ საქმეს, უბედურობის მიზეზს იპოვიან და ამ ფრიალ სასარგებლო და საჭირო დაწესებულებას ფიხზე დააყენებენ.

რად მიდის ჩვენი თეატრის საქმე ასე ცუდად? რა მიზეზია, რომ ასე დასწეულა, რატომ ვერ გასწორებულა წელში ჩვენი თეატრი? ყველა ამ უბედურობის მიზეზი არის „საზოგადოება“, მისი გამგეობა, თვით არტისტები, მაგრამ უწინარეს ყოვლისა თეატრის მატერიალური მხარე.

თუ მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი თეატრი, თუ ჩვენი თეატრის არტისტი ნახევრად მშვიერ-მწყურვალად არ იქნება, თუ მის შრომას ღირებული ფასი დაედება,

თუ ის ხელოვნების გარდა თეატრს შეიყვარებს, როგორც შემოსავლის წყაროს, ის მეცადინეობას უმატებს, შრომას გააორკეცებს, თვითგანვითარების გზას მეტის სურვილით შეუდგება. ამ თ ჩვენი სცენა გაუმჯობესდება: ხელოვნება წინ წაიწევს, გაფაჩიბდება და საზოგადოებაც მეტს ყურადღებას მიაქცევს, თეატრში სიარულს უმატებს, თეატრი მისთვის გახდება მიმზიდველი, — გასართობიც და სასაზგებლოც.

ღღეს კი რას ვხედავთ? დავიწყით სცენიდან. როლები სეცონდინარობა ჩვენს არტისტებს ქრონიკულ სენდ გადაეცათ, როგორც არის. მაგ., ქრონიკული სურდო. რეისსურა მეტად კოქლობს. დახელოვნებულ, ნიჭიერ არტისტებს გარდა, სცენაზე გამოდიან სრულიად მოუშადებელი მოთამაშენი, რომლებმაც არ იციან, სად გაჩერდენ, რა სიტყვან, რომელ კარებიდან შემოვიდენ და რომელში გავიდენ. ეს გარემოება მაყურებელს ილოლუზიას უკარგავს, მის თვალს ეკლად ესობა, გულს ეჩამუშება და საერთო უკმაყოფილებას იწვევს. ამას გარდა დაბალ ხარისხის არტისტს ხშირად აძლევენ საპასუხმგებლო როლებს, რომლებსაც ისინი ახდენენ და მასთან ერთად ახდენენ მთელ პიესასაც.

გადვიდეთ ახლა ადმინისტრაციულ მხარეზე, რომელიც შეადგენს უმთავრეს მიზეზს, რის გამოც ადამიანი, რომელსაც უყვარს წეს-რიგი და მშვიდობიანობა, რომელიც მიდის თეატრში დასასვენებლად და საიმოვნების მოსაპოვებლად, რომელიც, როდესაც ყიდულობს ნომრიან ბელეთს, ჰგონია, რომ ყიდულობს ალაგსაც და სულის სიმშვიდესაც; ამ გვარი ადამიანი, ერთხელ რომ მივა ჩვენს თეატრში, მეორედ ქული რომ შეუვდო, იქ აღარ შევა.

არც ერთ თეატრში, არც ერთ საზოგადოების ყრილობაში ის უწესრიგობა, ვიტყვი მეტს, საზოგადოება არ ხდება, რაც ჩვენს თეატრში. ჯერ შეხვალ შესავალში და, თუმცა წინდაწინვე იცი, რომ თეატრი ცარიელი იქნება, ისე გაქედილი შესავალი, რომ ერთი საათი უნდა მოანდომო ბილეთის ადებს და თეატრში შესვლას; ამასთან დაგიმტვრევენ ძვლებს, ისე დავიქმუქნა ტანისამოსს, რომ აღარც ძვლები და აღარც ტანისამოსი აღარ გივარჯა. შეხვალ თეატრში, მოსძენი შენს ადგილს ჭ ვახივავ, ვილა კას დაუქირაა უკვე შენი ადგილი. აბა, გაბედე და მოწწვებით უთხარი: ბატონო (ან ქალბატონო), ეს ადგილი დამითმეთო. ან შემოგიბღვევს ჭ ხმას არ გაგცეპს და, თუ ხმა გაქცა, ისეთ რაჟეს გეცევის, რომ შეინანიებთ თქვენს „თავხედობას“. კაპიტალისა და მიწის სოციალიზაცია სასურველიცაა და კარგიც, მაგრამ მე მგონია, რომ სოციალიზაციის დროსაც მიწისა და ნაწარმოებთა მოხმარება მიწსწრებაზე არ იქნება.

ამას დაუმატეთ ახლა ყვიროლი, ხმაურობა, ხმა მალალი ცინიკური ობუნჯობა, ხან და ხან სცენაზე თამაშობისდრას

სცენაზედვე ან სადმე თეატრის კუთხეში ძუძუმწოვარა ბავშვის კნავილი და დამეთანხმებით, რომ ჩვენს საზოგადოებას კიდევ ბევრი მოთმინება აქვს და ბევრის მოთხოვნა არ იცის, თორემ თეატრში დრო-გამოწვევით სიარულსაც კი დაანებებდა თავს.

ასე და ამგვარად, თეატრში მოსიარულე საზოგადოების გამტყუნება არ შეიძლება. მისი „გოლ-გრილობა“, რომელზედაც მუდამ ჩივიან არისტოკრატები და პრისსა, აქ არაფერ შეუძლია. შეიძლება მე თეატრი ძალიან მიმჩნდეს, ფუსურვო ყოველივე სიკეთე, არაფერი დავზოგო მისთვის, თუ საჭიროება მოითხოვს, ფულითაც დავეხმარო, როგორც თეატრს, როგორც საჭირო, სასარგებლო დაწესებულებას. მაგრამ, როდესაც მე ვცილულობ ბილეთს და თეატრში შევედივარ, ამ შეხვედრაში მე კერძო პირი, ვაჭარი ვარ. მე ვცილულობ ფულით სიამოვნებას და სულის სიმშვიდეს. არ მასიამოვნებ? სასიამოვნო და სასარგებლო სცენებზე მაგიერ, მე გავილანძღვები, ჩემს ესტრატურ გრძობებს შელახავ? მეორედ აღარ გეახლებით თქვენ თეატრში. ამგვარია ადამიანის პსიხოლოგია და თქვენს გინდა, გულგრილი დაუძახეთ, გინდა, სამშობლოს მტრად ჩათვალოთ, ის მაინც ასე მოიქცევა.

თეატრში მოსიარულე საზოგადოება დამნაშავე არაა. დამნაშავეა დრამატული საზოგადოება, რომელიც არაფერს აკეთებს, რომლის ხელზედაც გადასვენებულია და სულს ებრძვის ჩვენი თეატრი. ის კი ამ უზედურობას ღვთის განგებას აწერს და გარემოებას შერიგებია, — ხელსაც არ ანძრევს, რომ სიკვდილისაგან დაიხსნას და ფეხზე დააყენოს. დამნაშავე ჩვენი ქართული პრესაც, რომელიც მართლა რომ გულგრილად ეკადება ქართულ თეატრს: ჯერ ხმას არ ამოიღებს, არის ჩუმად და, თუ ხმა ამოიღო, ლანძღვისა და გაკიცხვის მეტს არას იტყვას. — ჩვენი რეცენზენტები მხოლოდ მაშინ აიღებენ ხელში კალმს, — ჩიოდა ერთი ახალგაზდა არტისტი, — როდესაც ჩვენი ლანძღვა-გინება მოუწოდებთ! მართალიც არის: თუ რომელიმე არტისტმა როლი არ იცოდა, ან თავის ალაგას არ იყო, ან საზოგადოდ პიესა ცუდად ჩაატარეს, მეორედ დღეს გაზეთები ქვევით ჩაქოლავენ, დასცინიან, ყოველ გვარ ღირსებას ართმევენ, რე თუ პიესა კარგად ჩაატარეს, თუ რომელიმე არტისტმა მოულოდნელად ნიჭი გამოიჩინა, თავი ისახელა, საზოგადოება ასიამოვნა, კრიტიკაც არ დასძრავენ, სულაც არ მოიხსენიებენ. — ნახევრად მშვიტი ვარ, — მობობდა შემოდ ხსენებული არტისტი, — ჩემთვის არც ჩაცმაა, არც დახურვა, მაგრამ თეატრს მაინც არ ვშორდები, მიყვარს, ვემსახურები მას. ამას გარდა როდესაც შესწავლას, გაზეთებებს თავს ვაკლავ, ვცდილობ, საზოგადოების ყურადღება მივიქციო; მოვალ, ვითამაშებ და ჩვენი რეზენტები არც კი მოიხსენიებენ თავის რეცენზიებში, ესა და ეს როლი ამა და ამან შეასრულაო, თუ ღირსი ვარ, რატომ არ უნდა სთქვა ჩემზე ორიოდ სიტყვა, ან დამიწუნო, ან მამიწუნო, რჩევა დარიგება მამკე, მე ხომ წამინ ფრთები შემესხმის, ხომ გავორკიცებ ჩემს მეცადინეობას, ხომ დამეხმარებარ და დავიძინებ, რომ როლი კარგად შევიგნო, შევისწავლო, საზოგადოების წინ მომზადებული წარსდგე. ახლა მეც ყველაფერზე ხელი ავიღე, — მწარედ დამთავრა იმან, — ახლა მხოლოდ იმაზედ და ვფიქრობ, როგორმე ვსთქვა სცენაზე, რაც სთქმელი მაქვს და ფულადო თვის, როდესაც ორიოდ გრძობს გადმოგვიადგებენ და ამ სთან ერთად ვეძებ რაიქე სამსახურს, სადაც კუჭს მაინც ვავიძლებ, სხვა რომ არა იყოს რა!

სამართლიანი არ არის, მკითხველო, ეს ჩივილი და ბრტისადმი საყვედური? ახალგაზდა მსახიობებში ბრტისადმი ტალანტები ჩვენ არა გვყავს. ამ გვარი ტალანტებში კვეყნად ძნელად იხადებია. ეს უნდა ვიცოდეთ ჩვენ და ჩვენს მსახიობებში ღიდ ტალანტების ძებნას თავი უნდა დავანებოთ, უნდა გამოვარჩიოთ მხოლოდ მათ შორის ნიჭიერი, სინიღისიერი, ხელოვნების მოყვარული და გზა მიეცეთ, მის განვითარებას ხელი შევეწყუთ.

ახლა ვიკითხოთ, რას აკეთებს დრამატული საზოგადოება? სიპართლე არ დაიზარება, თუ ვიტყვით: არაფერს! ფიქრობს თეატრის გაუმჯობესობაზე? ცდილობს, თეატრს მატერიალური დახმარება გაუწიოს? სიყვარულითა და ენერგიით ეკიდება საქმეს? არა, და არა. ის იჩივებს გამგეობას და თავის მოვალეობას ამით იცილებს თავიდან, მისი როლი ამით თავდება. ახლა რა არის გამგეობა? ვისგან შესდგება იგი? რას აკეთებენ მისი წევრნი? ყველა ამ კითხვებზე რომ პასუხი გავიღოთ, საქმე შორს წავიყვანს და ბევრსაც ნება-უნებულად ვაწყენინებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ „მოქმედობს“, „საქმეს აკეთებს“ მხოლოდ ერთი მისი წევრი — ხაზინადარი. ხაზინადარი — ეს თვით გამგეობაა და, წარმოიდგინეთ, რა დაწესებულებაა ის დაწესებულება, რომელშიაც უმთავრესს როლს ხაზინადარი ასრულებს! იმას ხომ უბრალო როლი აქვს: ფული ჩაიპაროს და თავის ღრობე მოსამსახურებს დაუჭიროს. დრამ. საზოგ. გამგეობის ხაზინადარი კი ყოველ-შემძღვებელი არსებაა, პატრონია თეატრისა. მხოლოდ მას დაეძებენ ხოლმე თავგადაღვლეული მთელს ქალაქში და მხოლოდ იმასაგან ელიან გაკირვების დროს ხსნასა და შეველას. დანარჩენი წევრები? დანარჩენი წევრები დაღიან თეატრში, როცა მოსურვებენ (კარგია, ფულს არ იხდიან!), გამწკრივდებიან პირველ რიგის სავარძლებში და სხედან ამაყი, მოწყენილი სახით.

თეატრის საქმე კი ცუდად არის. ოჯახში ავადმყოფი რომ გონებასა და ადამიანის ცნობას დაკარგავს, შინაურები მხოლოდ მაშინ მიხვდებიან ხოლმე, რომ ავადმყოფს ხსნა აღარა აქვს, უნდა მოკვდეს, მანამდის კი თვალა აქვთ შეჩვეული და არაფერზე არ ფიქრობენ. ასეა ჩვენი საქმეც.

საქმეს წინდაწინვე უნდა შედგომა. რაც მიზეზები ჩამოვთვალეთ და ბევრი კიდევ სხვა კაცია. შეიძლება, ადვილად აიცილინოს თავიდან. თუ უმთავრესს მიზეზს მიაგნებს და გარს შემოუღოს, მაშინ წვრილმანი მიზეზები თავის თავად გაქრებიან. ეს უმთავრესი მიზეზი კი უსახარობაა.

თეატრი რომ გამობრუნდეს და კარგს ნიდავზე დადგეს, საჭიროა ფული, ყოველ წლიური სუბსიდია, უ მისოდ შეუძლებელია ჩვენში თეატრმა იარსებოს, — ეს კარგად უნდა გვახსოვდეს. საჭიროა სუბსიდია, რომ ჩვენი მსახიობნი და მათი ოჯახები უზრუნველ ყოფილი იყვენ იმდენად, რამდენადაც საჭიროა, რომ ადამიანმა იცოცხლოს და საქმე აკეთოს. საჭიროა ფული, რომ, როგორც სცენაზე არტისტებს შორის, ისე თვით თეატრის დაობაში რაიმე დ-სციპლინა სუფევდეს: მოსამსახურე უნდა აფასებდეს ადგილს, უნდა ზედ დაჰკანალებდეს მას, რომ საყვედურაც უთხრა, შენიშვნაც მისცე და უკანასკნელ შემთხვევაში სამსახურიდანაც დაითხოვო. ჩვენი არტისტების „კაპრიზები“, რომელზედაც მიგვიითაებენ ხომლვე მეთაურნი, ვაჰკრებიან, ვით თოვლი მტეხე, თუ მათ ეცოდინებათ, რომ ალაგის დაკრგვით ისინი კარგ საზრდოს ჰკარგავენ.

საჭიროა სუბსიდია, რომ დაინიშნოს კარგი პრემიები

ორიგინალურ პიესების ავტორთა დასაჯილდოებლად. საქიროა სუბსიდიის დრამატული კურსების დასაარსებლად და სხვა.

ჩვენი თეატრის უსუსხიდიოდ არსებობა შეუძლებელია. რუსულ თეატრებს ვაკცილებით მეტი შემოსავალი აქვთ მოსიარულე ხალხი მეტი ჰყავთ და ამისდა მოუხედავად სახაზინო თეატრებს ხაზინიდან დიდი სუბსიდიები ეძლევათ, ხოლო კერძო თეატრებს სათავეში უღვანან კაპიტალისტები და არაფერს ზოგავენ, რომ თეატრი გააუმჯობესონ და საზოგადოება მიიზიდონ. საიმპერატორო დიდი და პატარა თეატრები მოსკოვისა და პეტერბურგში ხომ სახაზინო დაწესებულებად ითვლებიან და არტის ბები სახელმწიფო მოსამსახურეებად ირიცხებიან. ტფალისის სახაზინო თეატრი, რომელიც თითქმის მუდამ სავსეა ხალხით და სადაც ფასებიცაა წყურთა, იღებს სუბსიდიის წელიწადში ათი ათას მანეთიდან ოცდაათი ათას მანეთამდე. როგორ უნდა იარსებოს ჩვენმა თეატრმა, როდესაც ხანდახან ათი თუმანიც არ არის შემოსავალი, რომ ხარჯი დაფაროს და დახმარებაც არსაიდან არა აქვს. რა გულით უნდა ითამაშოს ჩვენმა არტისტმა სცენაზე ცარიელ პარტურისა და ლოკების წინაშე და ამასთან, როდესაც იცის, რომ ხვალ კასში ფული არ იქნება და ისიც ვერაფერს მიიღებს!

მივედით იმ ადგილას, სადაც ძალდი მარხია. საქიროა ყოველწლიური სუბსიდიის, მაგრამ სად ვიშოვნოთ ეს სუფსიდიის? ადვილია ლაპარაკი! ამა ერთი გვითხარით, სად ვიშოვნოთ ეს ფული?! — გაჯავრდება დრ. საზოგადოება და მისი გამგეობა. ამგვარი პასუხი ზარმაცი და სუსტი ადამიანის პასუხია. გიპასუხებთ ისევე კითხვით: სად იშოვნა და სად იშოვნის კიდევ ფულს ბ-ნი ცხვედაძე ტფ. ქართულ კერძო გიმნაზიის შენობისთვის, რომელსაც სჭირდება ნახევარ მილიონზე მეტი? როგორ შოულობენ სხვა და სხვა ქართული სკოლები ყოველწლიურ დახმარებას? სად შოულობენ ჩვენი გაზეთები ყოველ წლიურ სუბსიდიას? სად გამოსძებნა ქუთაისის თავდაზნაურობამ ოცდაათი ათასი მანათი გაზეთისთვის? სად შოულობენ სხვა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებანი ფულს? სად, როგორ, რანაირად შოულობენ? შოულობენ იმიტომ, რომ შემოთმოყვანილ საქმეებს სათავეში უღვანან გულშემბატოვარი, მოყვარული, ენერგიით სავსე პირნი. ჩვენს თეატრს კი პატრონი არა ჰყავს. არის ღვთის ანაბარა მიკდებული და მხოლოდ ჩვენი არტისტების მადლობელები უნდა ვიყვეთ, რომ თეატრი დღემდის არსებობს. მხოლოდ მათი უნაგარო, თავგანწირული მუშაობა, სცენისადმი უსასღვრო სიყვარულია ამის მიზეზი.

ეს იყო დღემდის. დღეიდან სულ სხვა ხანა უღდება ჩვენს თეატრს. შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენი ნიკიერი არტისტები ბბ. მესხიშვილი, აბაშიძე, ყიფანი და სხვანი სცენას სამუდამოდ თავს დაანებებენ, ხოლო ახლგაზღა ნიკიერი არტისტებს მოსწყინდებათ ნახევრად შიმშილი. სხვა ადგილებს მოსძებნიან და ჩვენი თეატრიც სულს დაღვეს.

აი, რაზედ გვმართებს ფიქრი! მეგობარა.

პ ა ტ ა რ ა შ ი მ რ ე ბ ი

ერთი კვირის წინად ვწერდი, რომ „დღეს თუ ხვალ „მოღალატე“ კადეტები, „ნაციონალისტ ბურჟუა“ ფედერალისტები; „ფსიხობატ“ ანარქისტები და „დანოსიკი“ სოც.დემოკრატები ერთმანეთს დაერევიან მეუკი. ამ სიტყვებს ერთხელ კიდევ უნდა გავუსვა ხაზი.

გასულ კვირას ქალაქის საბჭოს დარბაზში ცნობილიმ ვარ. ჩერქეზიშვილმა ლექცია წაიკითხა თვითმმართველობის შესახებ. პარტიები წინდაწინვე დღესასწაულობდნენ განარჯვებას, პარტიული აგიტატორები და კლაკორები ასეთ სიტყვებით უზასპანდლებოდნენ მოწინააღმდეგეებს: „ისე გავიმძრობთ ტყავს თვენს მეცნიერს, რომ მეორედ ვვლარ გაბედოს ლექციების კითხვაო.“ ჩერქეზიშვილმა ლექცია წაიკითხა, მაგრამ ვაი ამისთანა ლექციას! დარბაზი თავიდანვე გავლენითილი იყო „ნერვიანობით“, ყვირილის სურვილით და უნდობლობით. დაიწყო თუ არა კამათი, — ატყდა კიდევ ერთი აუღიამყალი, ერთი აღიაკათი, ყვირილი, კეჩინა და აურზაური. წამდაუწუმ მოისმოდა: „პოლიციელები ხართ“, „პროვოკატორები ხართ“, „ბურჟუები“, „ნაციონალისტები“ და სხ. და სხ. რამდენიმე ასი კაცი ამიტომ შეიყარა, რომ გაეგოთ რამე ახალი, თავიანთი აზრი გამოეთქვათ და ქეშმარიტება გამოერკვიოთ; ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ პარტიები იმიტომ შეიყარნენ, რომ ერთმანეთისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ, ერთმანეთისათვის პროვოკატორები და პოლიციელები დაეძახნათ, თავიანთი სიმართლე ყვირილით დამტკიცებინათ და, — თუ საქმე გაქირდებოდა — ქეშმარიტება მუშტებით დაეცვათ. ერთმა ახალგაზღამ გარწა კიდევ მეორის წინააღმდეგ, მაგრამ მოკრივენი დროზე შეაჩერეს. მეგრე რა მოხდა საიმისო? რა იყო საჩუბარი? რათ ითაცუნეს შეურაცხყოფა? იმიტომ, რომ ერთნი ამტკიცებდნენ, ავტონომია და თვითმმართველობა სჯობია ცენტრალიზაციასო, მეორენი კი, პირიქით, ირწუნებოდნენ, რომ ცენტრალიზაცია სჯობია ავტონომიასო. ეს იყო ჩხუბის მიზეზი! პარტიული შუღლი იმდენად გამწვავდა, რომ შეუძლებელი გახდა ამა თუ იმ ლექციისა და რეფერატის ყურის დაგდება, შეუძლებელი გახდა დიდ კრებაზე რომელიმე მეცნიერულ საკითხის გარჩევა. წარსულ ლექციაზე პატრიცემულმა ლექტორმა და სხვებმაც ბრძოლის ქეკა-ქუხილს ვერ გაუძლეს და წავიდნენ.

ყოველ დღე ხდება ჩვენში ასეთი ამბები. წინაზე ვწერდი, რომ ვიღამაც ვიღაც ეურნალისტო დუელში გამოაწვია მეუკი. ვიღაცა „აღმოჩნდა ბ-ნი შალვა გოგელია, ხოლო „ვიღაც ეურნალისტო“ — „ლაპარის რედაქტორი“. გაზეთ „მუშის“ № 1-ში დაბეჭდილია დუელის ოქმი, საიდანაც სჩანს, რომ „ლაპარის“ რედაქტორს უარი უთქვამს დუელზე, რადგან ის „პრინციპიალურად წინააღმდეგია გავიდეს დუელში რევოლუციონურ პარტიის წარმომადგენელის წინააღმდეგ“. ამა თუნდა გათავებულებო საქმე, მაგრამ „რევოლუციონურ პარტიის წარმომადგენელმა“ შეუძგვი სიტყვები უძღვნა ამგვარ პასუხს: „რევოლუცია დუელია მტარვალ-მყვლეველია და პრილეტარიატის შორის. მე და ჩემ გაბედულ ამხანაგებს სოციალ-დემოკრატია მიგვაჩნია ბურჟუაზიულ პარტიად, ანტირევოლუციონურ პარტიად, ამიტომ დუელი ჩვენ და სოციალ-დემოკრატის შორის კი არ გათავებულა, როგორც ეს „ლაპარის“ გონებრივ და რევოლუციონურ კასტრატებს ჰგონიათ, არამედ მხოლოდ ეხლა იწყება, დღეს თუ არა, ხვალ მინც ჩვენი და სოციალ-დემოკრატის შორის, რომლის შედეგი ერთი და ერთის სამუდამოდ დანგრევა და სიკვდილი იქნებაო“.

დღემდის სოც.დემოკრატისაგან მხოლოდ ის გვესმოდა, რომ იმის გარდა დანარჩენი პარტიები მის მარჯვნივ დგანან, რომ მხოლოდ ის არის მემარცხენე პარტია, მხოლოდ ის არის ნამდვილი სოციალისტური პარტია. ხოლო სოც.-ფედერალისტები, სოც.-რევოლუციონერები და უპარტია სოციალისტები

ბორჯუნიანი პარტიები არიანო. ესლა იო სოც.-დემოკრატებს მარცხნივ ახალი „გაბედული“ ჯგუფი ამოუჯდა და მუჯღუგონი წაჰკრა მათ, როგორც „ბურჟუაზიულ და ანტირევოლუციონურ პარტიას.“ სოც.-დემოკრატის ბურჟუაზია და ანტირევოლუციონერობა იმავე გაზეთის იმავე ნომერშია ვრცლად მოთხრობილი. ორ გვირდზე გაქმული წ რილი მთელი საბრალმდებლო ოქია 11 მუხლისაგან ჩვენებურ სოც. დემოკრატის წინააღმდეგ შექმნილი სათაურით: უსინათლო „ლამპრის“ ბრწყინვალე ჯამუშო და ნათელი პრავა იყო. „კონვერტზე ასეთი რთული ადრესი და „ლამპრის“ სრული ტიტული სწერთა: „მთავრობის, სახელმწიფოებრივობის, დისციპლინის, ყაზარმულ სათნობის, როსკიპი კანონის, ბურჟუაზიის ცილობის, მარქსიზმის ეკონომიურ ღობის და ლიტერატურულ ქურდობის, ცენტრალისტურ სახელმწიფოებრიობის და ბიუროკრატ პარლამენტარულ კრეტინიზმის მოტრფილვე, ბურჟუაზიულ სოციალ-დემოკრატის პარტიის ორგანოს „ლამპრის“...

სოც.-დემოკრატების ლიტერატურამ ყველაფერს შეგვიჩვია, მაგრამ ისეთ ლანძღვა-გინებას, როგორც „მუშის“ პირველ ნომერშია, ჯერ არსად შევიგდრივართ. ვცით, რომ ვაზ. „მუშის“ ბანაიდან ამის გამო ბურჟუაზიულ სიფაქიზის იარლიკს მოგვკარავენ შუბლზე, მაგრამ ჩვენ ამს არ გივინია, რადგან ასეთ უშინაარსო იარლიკებს შევიუღული ვართ. აქ საყოფადღებოა არა იარლიკი, არამედ პარტიულ ურთიერთობის ახალი ელავი, პარტიულ ბრძოლის ფორმის დასახიჩრება ამაში იმდენად გასამტყუნარი არ არის ახალ ჯგუფის ორგანო „მუშა“, რამდენადაც სოც.-დემოკრატის ლიტერატურა, რომელმაც ასეთი პასუხი გამოიწვია. „ლამპრის“ არ დასცალდა ამ წერილზე პასუხის გაცემა, მაგრამ სულ ერთია, დღეს თუ ხვალ განსვენებულ „ლამპრის“ ძეგლებიდან აღსდგება შორისმძიველი“, რომელიც, უეჭველია, ახალ ჯგუფს ვალს არ შეაჩვენს და თავის მხრივაც წარუდგინს მას ლანძღვა-გინების თაიფულს და საბრალმდებლო ოქმს. აუცილობლად საქირაო ერთმანეთის კრიტიკა, მაგრამ ერთმანეთზე მისევა და აუარებელ ენერჯის დახარჯვა ისეთ დროს, როცა საქირაო მხოლოდ შეკავშირება და საერთო ბრძოლა საერთო მტერთან, ეს ორივე მხრით ნამდვილი ბოროტ-მოქმედიბა რევოლუციის წინაშე. დიდებულ რევოლუციის მომავალი ისტორიკოსი ხაზგასვით აღნიშნავს მებრძოლ ძალთა დაქუცმაცებას და შეადგენს ახალსა და სასტიკ საბრალმდებლო ოქმს და ხალხის სამართალში მისცემს ყველა რევოლუციონურ პარტიების წარმომადგენლებს, რომელთაც ბრძოლის უკანასკნელ აქტის დროს საერთო მტერი დაივიწყეს და ერთმანეთს ეცნენ ყელში.

მომავალი ისტორიკოსი იმასაც აღნიშნავს, რომ მეოცე საუკუნის დამდეგს არაბუნებრივი ქორწილი მოხდა ჩვენებურ სოც.-დემოკრატისა და ოფიციალურ „კავკაზის“ შორის. ახალგაზდა და ჯანდონით აღსავსე საქირაო-სოციალ-დემოკრატია-ზურგას აქცევს თავის სამოცი წლის საცოლვე „კავკაზს“, მაგრამ ყელამდის შეყვარებული „კავკაზი“ ლანდრით თან დასდვის მას და სულ იმას ცდილობს, რომ როგორმე ჩაივლოს ხელში, გადაეხვიოს და დაჰკოცნოს. მერე არ იკითხვთ, რამ გამოიწვია მოხუც „კავკაზის“ მიჯნურობა? ავტონომიის უარყოფამ სოც.-დემოკრატის მხით! პოლიციის გაზეთი პოლიციურ უტყვეობით თითქმის ყოველდღე პოლიციურ წერილებს აცხობს ავტონომიის წინააღმდეგ

და ამასთან ჯენტლმენურ კომპლიმენტებს უგზავნის სოც.-დემოკრატის, რომელიც თავის საუნებურად რუსებისა, 17 ოქტომბრის კავშირისა და ოფიციალურ „კავკაზის“ მოკავშირე გახდა თუ საქირაო ავტონომიის უარყოფა და ავტონომისტ-ფედერალისტებს გალანძღვა. „კავკაზი“ ჩვენებურ სოც.-დემოკრატის იბარებს მოწმედ და ამასთან ისე იღრიკება, ისე იგრიხება და ისე ოხუნჯობს, რომ მისი ხელოვნება განთქმულ კლავს ღუროვსაც კი შეშურდებდა.

მაგრამ ეს კადვე არაფერი: იქ, სადაც საზოგადოვ ქართველებზეა ლაპარაკი, „კავკაზი“ სტრიქონებს შუა და ზოგჯერ ხვამალადაც თითს უქენეს ქართულ ვას, ემუქრება და წარსულზე უთითებს: რუსეთს თქვენზე ბევრი ამაგი აქვს და ხარჯული და უმადურები ნუ ხართო. ო, უმადურო ქართველო! რად დავაგიწყდა, რომ ასი წლის განმავლობაში რუსეთის მთავრობისთვის შენ მხოლოდ მეწველი ფურა იყავი, რად დავაგიწყდა, რომ ასი წლის განმავლობაში რუსეთის მთავრობა მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ სავსებით მოესპო და ძირიან ფესვიანად აღმოეფხვრა შენი გულიდან და გონებიდან ქართული ენა და სიტყვა „ქართველი“, რომ აეკძალა შენთვის თავისუფლებაზე ფქვი, ჩაექრა შენს გულში ღვთაებრივი პროტესტი ძალმომრეობისა და უსამროლობის წინააღმდეგ! უმადურო ქართველო! რად დავაგიწყდა ასე მალე ისტორია ასა წლის მოქალაქებრივ, სარწმუნოებრივ და ეროვნულ მონობისა! რად დავაგიწყდა ასე მალე, უმადურო ქართველო, რომ გუშინ, მხოლოდ ორიოდვე თვის წინად დედან-ბუდიანად ვადაგვწყეს, შენი სახლ-კარი ნიავს მისცეს, შენი სამშობლო ფურფლად აქცავს, შენს ნასახლკარზე გაძარჯვების ქიაკოკონა ანთეს, ცოლი და დედა გაგიუბატურეს და ერთხელ კადვე მოგავონეს შაჰაზისისა და ალა-შაჰად ხანის დრო! დიად, რად დავაგიწყდა რუსეთის მთავრობის ამაგი ასე მალე, უმადურო ქართველო!

მაგრამ, არა! ვარწუნებთ, მოხუკო „კავკაზო“, რომ ქართველი ვრი არც იმდენად უმადურია, როგორც თქვენა გგონიათ. ქართველი ბუნებრივი პური მარილის მოყვარულია და, თუ სადმე ვასტეხა პური, ამას იშვითად დაივიწყებს. ამიტომ უსამართლოდ მივაჩნია თქვენი საყვედური, ვითომ ქართველი უმადური იყოს და ასე მალე დევიწყოს თქვენი ბატონის, რუსეთის მთავრობის, მადლი და პურ-მარილოა. იგი დაწვრილებით უამაობს მომაველ თაობას თქვენს „მასპინძლობას“, ამავსა და შრომას, ხოლო ქართველი დედა თავის პატარა შვილს ნანასთან ერთად უმღერს იმ ჰაერებს, რომელიც წრელს იანვარში გაისმოდა ქართლსა და გურია-იმერეთ-სამეგრელოში.

განავრძეთ, „კავკაზის“ „პუბლიცისტებო“, განავრძეთ, იცინეთ და იოხუნჯეთ, ვიცით, კარგ გუნებაზე ხართ. ჯერჯერობით, სანამ პოლიცია ხარობს, თქვენ, მის ლაქია-მოსამსახურეებს, აბა რა დავალონებთ! განავრძეთ!

ჯერ-ჯერობით ჩვენი მებოძლებიც განავრძობენ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას. ვაზაფხულის დამდეგს ნამესტნიკის სასახლეში დიდის ამბით შეიკრიბნენ მამპალიანებისა და სომხების წარმომადგენელნი და დიდეს ამბით გამოაცხადეს ეს რეცეპტი, რომელსაც უნდა განეკურნა სისხლის წყურვილით შეპყრობილი მებრძოლნი. შორს-გამქვრტული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა მაშინვე აცხადებდა, რომ რეცეპტი ყალბია და შეუძლებელია მომრეცებელ კომისიები, იმ მიზეზების აღმოფხვრა, რომელთაც გამოიწვიეს უაზრო და ორივე ვრი-

სათვის დამღუბველი ომიო. იმ დროს ხელსაყრელი ეგონათ მრეღ ქვეყანაზე იმ აზრის გავრცელება, ვითომ შეტაკება გამოიწვია მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის პროვოკაციამ. მართალია, ამ საქმეში მთავრობამაც შეიტანა თავისი წვლილი, მაგრამ ყველაფრის ახსნა მართო პროვოკაციით—თავის თავის მოტყუება და სხვა არაფერი. რატომ ქართველები და სომხები ვერ წაჭკიდა მთავრობამ? ასეა თუ ისე, წინასწარმეტყველება გაძარღვდა, და თათრები და სომხებიც ხელმეორედ მიესივინ ეთთახნეთს. ორდუქდის უნდა გაგრძელდეს სიხლის ღვრა? როდემდის უნდა გაგრძელდეს ველუო შურისძიების ღმერთის წიხამე აუოტეოლ და უდანაშაულო ხალხის ზვარაკად შეწიოვა? ამ საარაკო სიველუოეს, ამ აოაწველუებოეოე აარბოოოსობას და სტიქიურ სისხლის ღვრას ბოლო აო უჩანს, დასასრული აოა აქვს. ყველა ეკიომობს, ყველა რეცეპტებს სწეოს და ყველა დაოწმუნებულია, ომ მისი რეცეპტი უებარი წაძალია ავადქოფთათვის, მაგრამ მათ ზოოის არის ერთი რეცეპტი, რომელიც მართლა უებარი უნდა იყოს. ორი კაცი ერთმანეთს ჩაკიდებია და ერთმანეთს დახრობას უპიროდენ. გამწველუებლთ გამვეღება უნდათ, მგოამ გამვეღების ძაგიერად მხოლოდ იმას ცდილოდენ, რომ მოჩხუბოიხი შეარიგონ. დღეს დღეობით იმცენად საქირო არ არის მათი შეოიგება, რამდენადაც საქიროა მოჩხუბოართ გამწველუება და ერთმანეთისგან გამორება. ჩვენის აზრით საქიოოა გაიჯანა, ტერიტოოიებზე სახალბო მოსახლობის გაბაწილობა ეოოგენების ძიხედვით. დღეს სომხები და თათრები ისე აოიან ტერთანეთში აოეული, რომ ძნელია თითოც და მათგანის ტერიტოოიის გასახლვრა. სომხებოც და თათრებოც ერთხელ უხდა მოსთხოვონ მთავრობას საქიოო ფულის გადადება ორივე ტომის გადასახლ-გადმოსახლებისთვის. ამ საქმეს დიდი ფული არ დასქირდება, რადგან სომხებიც და თათრებიც გასცლიან მიწა-ადგილს და, ვინც წაგყაძი იქნეა, ვისც შეტ და უკეთეს ადგილს დაუთმოს, მთავრობამ იმას უნდა აუხაზლაუროს ხარალი. ეს საქმე დიდ დოოა და მრომას მოითოეოს, მაგოამ, სამაგიეროდ, ერთი ათად შეტ სარგებლობას ცოუტანს ორივე მხარეს, ვიდრე შემრიგებელი კომისიები და ცარიელი ქადაგება.

ა—ლა.

საქართველოს საკითხი რუსეთში

(პროფ. ბ. მარტი, История Грузии. Культурно-исторический обзор. Спб. 1906. издательство „Амиранъ“ Ал. Арабидзе. Къ грузинскому вопросу № 1 ч. 2. კოპ.)

ავერ ას წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც საქართველო შეერთდა რუსეთთან. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის მმართველებმა და რუსმა მოღვაწეებმა საქართველოში ვერ მოახერხეს ქართველთა გულის მოგება, პირიქით, თავის ქვეყნით, ქართველების კულტურულად დაჩაგრეთ, ქართველ ხალხის გულში მათ აღზარდეს სიძულვილი რუსებისადმი. ამ სიძულვილის მიზეზი ისეთი „მოღვაწეები“ არიან, როგორც იყო მაგ. მამა იოანე ვოსტროგოვი, რომელიც ათი წლის განმავლობაში განაგებდა საქართველოს საექსპარტოსოს საწავლებლებს, ადგილობრივ საეკლესიო საქმეებში „რუსულ“ მიმართულების სულის ჩამდგმელი იყო და თავის გესლიან გულს განსაკუთრებით ქართველთა საეკლესიო საქმეებში იწენდა.

მამა ვოსტროგოვი იძულებული შეიქნა წასულიყო კავკასიიდან, მაგრამ მან კავკასია და ქართველები არ დაივიწყა!

რუსთა „პატრიოტულ“ კრებაზე მოსკოვში მან ამას წინეთ სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც დიდის ქებითა და დიდებით დაბეჭდა მოსკოვის ცნობილმა გაზეთმა (Моск. Вѣд. 12 ауп. №95)

მამა ვოსტროგოვი აცხადებს. კავკასიაში ყველაზე უფრო მოსაწონი არიან მამადიანებიო: „ისინი ყველაზე უფრო ერთგული არიან, წინ არ მიიწევიან, რადგანაც არა აქვთ საკუთარი გაზეთები, არა ჰყავ“ ინტელიგენცია, არა აქვთ ფული სხვეების მოსასყიდად და მწერლების გადასახიბრებად.“ მამა ვოსტროგოვმა ა რიცის, რომ მამადიანებს ოოი საკუთარი გაზეთი აქვთ, ეოოგენულ საქმეზე მტიკედ დამდგარი ინტელიგენცია ჰყავთ და რომ მამადიანების სიძლიდრე სხვა ერების სიმდიდრეს არაფრით არ ჩამოუვარდება. საგულისხმო ის არის, რომ ეკლესიის წარმომადგენელი მამა ვოსტროგოვი მამადიანებს აქებს და აქებს იმისთვის, რომ ისინი „წინ არ მიიწევიან“, რომ „მათში არ არის გაზეთი“, „საკუთარი ინტელიგენცია“ და „ფული“

ავტოკეფალიის საკითხი, ამ უკანასკნელ ხანებში წამოყენებული, ქართველ ერის სურვლებს არ ეთახნება, და იგი წაოუქნებელია მხოლოდ ზოგიერთ პოლიტიკოსობისაგან სხვა. უფრო ღრმა საკითხის, —ავტონომიის დასაცაოკადლო, — აცხადებს ვოსტროგოვი. ვოსტროგოვს რომ ეთქვა, ავტოკეფალია მთელ ქართველ ერის სუ უკლებს არ ეთანხმება, ოამას კიდევ შეურიგდებოდა ადამიანს, რადგანაც ეს მართალია, მაგრამ ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგინა საზოგადოდ ყოველივე ეკლესიის ეწინააღმდეგებიან, — მათ „რუსული“ ეკლესიაც აო უნდათ. ავტოკეფალიის საკითხს უკან ამოთარება ავტონომიის დასაფარავად ქართველებს არ სქიოთ, რადგან ავტონომიის მომხრე ქართველებს არასოდეს არ დაუშალავთ თავიანთი სურვილი და ავტონომიის მოთხოვნა მმა მალლა და აშკარად წამოუყენებიათ. მართალია, დღეს-დღეობით ავტონომიასაც მთელი ქართველი ერი არ ემხრობა, — ქართველი სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ მისი წინააღმდეგინ არიან. თვით ავტონომიის მომხრე ქართველებშიაც აზრთა დიდი სხვა და სხვაობა არსებობს, რადგან ზოგი ფეოდალურ და ზოგიც დემოკრატიულ ავტონომიისაკენ მიისწრაფება.

ავგვევა ავტოკეფალიის საკითხიც. მისი მომხრე სამღვდლოება ხედავს, რომ მეუძლებელია საქართველოში ხალხისაგან მოწყვეტილად ეკლესიის არსებობა, რომ სამღვდლოება უნდა დაუბრუნდეს ხალხს, რომ ხალხის გარეშე მისთვის ხსნა აღარ არის; მათის აზრით, ეკლესიის ასეთი მოწყობა ხალხისთვისაც საჭიროა. საეკლესიო საკითხის გადაწყვეტილად ქართველთა საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება.

იყო დრო, როდესაც ზოგიერთს ეგონა, რომ ქართველების საკითხი სამუდამოდ მოსპობილიაო, რომ თვით საქართველო პოლიტიკურად სამუდამოდ მოისპო. „ერთგულ ქართველებს“ ჰპირდებოდენ „დაცვის“, —მდივლად კი, ჯერ სხვა და სხვა მიზეზით და შემდეგ სულ უმიზეზოდაც, აშკარად და შეუბრალებლად უსპობდენ ყოველივე გზის კულტურულ ცხოვრებისათვის. რუსეთის მთავრობამ ქართველებს ჯერ მეფის სახლობა ჩამოაშორა, წაართვა მას ქართული ეკლესია, —და ქართველი თავადაზნაურობა, სანამ იგი ვარგოდა რათმე, თავის რუსულ, ნაციონალისტურ მიზნების მისაღწევად გამოიყენა, შემდეგ კი, გამოწურულ ლიმონივით, განზე ისროლა და აიძულა, მთავრობის „მოწყალეების“ იმედით დაჩენილიყო.

ქართულ საკათალიკოზოს საზღვრები გააღიდავს, სამა-

გიეროდ არჩეულ კათალიკოსის მაგიერად დააწესეს მთავრობისაკან დანიშნულ ჩინოვიკ ექსარხოსის თანამდებობა, — ამ თანამდებობაზე ყოველთვის რუსებს გზავნიდნ და სისტემატიურად სდევნიდნ ადგილობრივ ეკლესიაში ყველაფერს, რასაც ეროვნული ქარაული ელფერი ელა.

ძველ ქართულ სასამართლოს მაგიერად ახალი, „უფრო წესიერი“ სასამართლო შემოიღეს, მაგრამ თვით სასამართლოსაც მიზნად ადგილობრივ ხალხის გადაგვარება წამოიუყენეს. ათასის წლის განმავლობაში სასამართლოს ოფიციალურ ენად ითვლებოდა ქართული, რომელიც მაჰმადიანთა საშინელ ბატონობის დროსაც არ მოსპობილა, რომელსაც არ სდევნიდნ მონღოლები, თათრები და სპარსელები, —ახლა კი ერთის კალმის მოსმით მასხო ეს ენა სასამართლოში რუსეთის მთავრობამ. ქართველები ამბობენ: „რუსული კანონი“, „რუსული უარი“, „რუსის სამართალი“; მათში ეს სიტყვები ყოველივე უკანონობის და უსამართლობის გამომხატველი შეიქნა. რუსების სასამართლომ ქართველებში სამართლიანობის გრძნობას ძირი გამოუთხარა, მან ვარყვნა ქართველი ერი...

საქართველოში რუსეთთან შეერთების დროს ბეკრი სასწავლებელი არ ყოფილა, — რუსეთის მთავრობამ, მართალია, გაამრავლა სასწავლებლები, მაგრამ აქაც მისმა პოლიტიკოსობამ საქმეს სულ სხვა ფასი და მნიშვნელობა მისცა. ქართველების დედანას დევნა დაუწყეს. დიდი შრომა და ფული შეაღია მთავრობამ სწავლა-განათლების საქმეს ქართველებში, მაგრამ ამ ხარჯმა და შრომამ მათთვის უნაყოფოდ ჩაიარა. რუსულ ენაზე წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ ქართველი ბავშვი ადვილად იფიწყებს ნასწავლს. საშუალო სასწავლებლებში განდევნეს ქართული. ქართულ ენას და მწერლობას თუ ასწავლიდნ სადმე, — ეს სწავლება ისე იყო დაყენებული, რომ მოსწავლეებში მხოლოდ ზიზღსა და გულის აგორებას იწვევდა; — უნდოდათ ამ საშუალებით ქართველ ბავშვების გულში ჩაენერგათ სიყვარული რუსულ სასწავლებლისადმი და საზოგადოდ რუსებისადმი, მაგრამ ქართველების ეროვნულმა დაჩაგრვამ მხოლოდ ერთი ნაყოფი გამოიღო, — მათი ეროვნული გამოფხიზლება და რუსების ჩამოშორება. მართლაც, სწავლა — აღზრდის საქმის ასეთი დაყენება და მხედ დახარჯული შრომა საქმის სასარგებლო კი არა, — პირდაპირ მავნებელია; მას მიზნად აქვს, ქართველები კულტურულ ხალხთა სიდიან სამუდამოდ ამოშალოს. ქართველები ისტორიულ წასრულის მქონე ერია, კულტურული ხალხია და მის კულტურულ სიჭიდიდრის სასწავლებლებში უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. წარსულის კულტურულ განძის უარსყოფა ხალხის უმეტესობას გონებრივ გადაგვარების გზაზე აყენებს. სასწავლებლებში გაბატონებული გამარუსებელი სისტემა იმის მიზეზი შეიქნა, რომ ქართველ ერის დიდი ნაწილი გონებრივად დაეცა, ჩამორჩა, და, თუ დღეს კიდევ ქართველები სრულ ველოურებამდის არ მისულან, — ეს კიდევ ამ ერის წასრულ ისტორიულ კულტურისობის შედეგია, — რუსებს ანაში არავითარი წილი არა აქვთ.

რუსებს საქართველოში თუ შემოულიათ რამე წესები, სასამართლო, სასწავლებელი და აღმინისტრაცია, — ყოველივე ამის მიზნად ჰქონდა ქართველების გადაგვარება, რუსების გაბატონება, ქართველთა გულში და თანავედროვე პოლიტიკაში საქართველოს ხსენების მოსპობა. ვერაპის საერთო კულტურულ განვითარებიდან რუსეთის მთავრობა ქართველებს მინიმუმს აწვდიდა, იმას, რის მიუკეცლობა შეუძლებელი იყო, — იმას, რასაც

ქართველი ერი ათას აკრძალვის მიუხედავადც შეითვისებდა. მთავრობის ასეთ პოლიტიკის ერთ-ერთი საუკუნოვო წარმატებელი მამა იოანე ეოსტორგოვი იყო, რომელიც საქართველოდან წასვლის შემდეგაც არ იფიწყებს თავის სამოღვაწო ასპარეზს და რუსეთში ცდილობს დააჯეროს რუსები, ქართველები მთავრობის ამნაირ მოქცევით სრული კმაყოფილი არიანო.

რუსეთთან შეერთების დროს ქართველებს ეგონათ, რომ მათ ეროვნულ კულტურის მშვიდობიანი განვითარება გაუადვილდებოდათ. მართალია, ზოგიერთი, უფრო შცგნებული ქართველი მაშინვე ექვის თვალთ უყურებდა რუსებს და მათს გულურჯელობას არ ენდობოდა. კათალიკოსი ანტონი, მაგ., ამბობდა: ქართველები რუსეთთან შეერთებით მხოლოდ ერთ რასმე მოიგებენ, — მათ, ქართველებს საშხედრო მუსიკით დასაფლავებენო. მართლაც, რუსებს ქართველების გულისთქმა არ ესმით, რუსებისთვის ქართველების იდეალეი უცხო და გაუგებარია. რუსების ყურადღებას იზიდავდა საქართველოს დიდი ბუნება, — და თუ აქ, ამ ბუნების კალთაზე იტანჯებოდა, რამე იდეალებისაკენ მისწრაფოდა თავის წარსულ ისტორიის მქონე, კულტურულად განვითარებული ერი, რომლის გულისთქმას გამოხატავდა ნ. ბარათაშვილის ცნობილი „მერანინი“, — ამას ვერავინ ვერ ხედავდა ისევე, როგორც ვერავინ ვერ ამჩნევდა, რომ თვით ამ დაჩაგრულ-დამონებულ ერში თანდათან იზრდებოდა ახალი საზოგადოებრივი ძალები, რომელთაც ხელახლად უნდა გაეცხოველებინათ ქართველ ერში კულტურულ ცხოვრების მაჯის ცემა, ეროვნული კულტურა.

რუსებმა არ იცოდენ, რუსებს არ გაეგებოდათ, რომ საქართველოში ეროვნული მისწრაფება არასოდეს არ მოისპობა. რუსებს მოსწონდათ ქართველების გარეგანი მშვიდობიანობა და უსაქმობა. მათ აწუხებდა მხოლოდ სომხების საქმიანობა, — ავიწყდებოდათ, რომ ქართველებში, სამაგიეროდ, მაგრად ფესვი მოკიდებული ჰქონდა ეროვნულ კულტურას, რომელიც საესებით არასოდეს არ მოსპობილა. ქართველებს ყოველთვის ახსოვდათ, რომ უნდა ჰქონდეთ თავისუფალ განვითარების უფლება.

ქართულ ენის სისტემატიურმა დევნამ სასწავლებლებში, რასაკვირველია, შესამჩნევად დასწია ქართველთა გონებრივი და საზოგადოდ სულიერი ინტერესები; მან შეამცირა ქართველების სამეცნიერო მოღვაწეობა, მან შეაჩერა ქართულ ენის სამეცნიერო გამოკვლევა; მანვე შეუშალა ხელი სწავლა-განათლების გავრცელებას საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში. მაგრამ მან ვერ მოსპო ქართველებში კულტურულ განვითარების ნიჭი: ქართულ ენის დევნამ ვერ შეაჩერა მისი ზრდა და ქართველებს მუდმივმა ჩავვრამ მათს საზოგადოებრივ აზრს და მისწრაფებას ფრთა ვერ შეუკვეცა.

მართალია, სომხებზე ბევრს ლაპარაკობდნ, — სომეხთა საკითხი საერთაშორისო პოლიტიკის საკითხად შეიქმნა, მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ სომხობა ოსმალეთსა და რუსეთშია თანაბრად დასახლებული. ქართველები კი თითქმის მხოლოდ რუსეთში ცხოვრობდნ და საერთაშორისო პოლიტიკას, ამიტომ, მათთან არავითარი საქმე არა აქვს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს საკითხი მაინც იყო. რუსეთის მთავრობამ თანდათან ჩამოაშორა ქართველებს მათი პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრების მეთაურები, — ქართველი სამეფო გვარეულობა, ქართული ეკლესია, ქართველი თავად ხანაურობა, — ქართველ ინტელიგენციას კი ყველა გზა დაუხშო, გარუსებისა და ეროვნულ გადაგვარების გზის გარდა, მაგრამ მაინც ქართველთა საკითხი არსებობდა. კულტურულ

განვითარების სწრაფი ზრდა შეჩერდა, მაგრამ არ შეჩერებულა და არ მოსპობილა ეროვნული შეგნება, — მხოლოდ იგი საზოგადოების სხვა კლასებში გადავიდა: ქართველების ეროვნული შეგნება გადმოკრატდა, იგი მშრომელ ხალხში გადავიდა, ეკონომიურ ცხოვრების შეკვლილმა პირობებმა მშრომელ ხალხს ახალი იდეალები წამოუყენა. საკვირველი და გაუგებარი იქნებოდა, რომ ახლანდელ განვითარებულ მოძრაობაში ხალხი ისევე ძველ წესებს მიჰხრებოდა. გლეხებმა და წვრილ აზნაურების ქონებრივმა დაჩაგრამ ისინი თავისუფლებისთვის მებრძოლთა რაზმში დააყენა, სამხრეთელ ხალხის ცოცხალმა ხასიათმა და გატაცებამ ამ განვითარებულ მოძრაობას განსაკუთრებული ხასიათი მისცა.

ისტორია აღნიშნავს ამას, თუ როგორ მშვიდობიანად მიდიოდა რევოლუციის საქმე იქ, სადაც ქართველები არიან დასახლებული. საკარისია შევადართო აქაური ამბები იმას, რაც ხდებოდა რუსეთში, სადაც ხალხი საშინელის სისასტიკით სისხლს ღვრიდა და ყველაფერს ანადგურებდა, — საკარისია შევადართო თვით დამჯეღლ რაზმების მოქმედებას. ამ რაზმების ძალ-სიძლიერებამ მხოლოდ მეტის სამწვავეთ წამოაყენა ქართველთა საკითხი. აშკარა შეიქმნა, რომ ახლანდელ მოძრაობას თვით ხალხის გულში ფესვები ღრმად აქვს მოკადებული და რომ ქართველთა საკითხის ჩაფუჭებება ახლა ყოველად შეუძლებელი რამეა. ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ქართველებს ნამდვილი დემოკრატიული თვითმართებლობა ექნებათ მინიჭებულია. ამ თვითმართებლობის შემოღება აუცილებელი საკითხია ერთის მხრივ იმით, რომ ხალხს მრავალი ეკონომიური და სულიერი მოთხოვნილება დაუქმყოფილებელი აქვს და რომ ხალხი, ახლანდელ შეცვლილ ეკონომიურ პირობებში, თვითონაც გრძნობს თვითმოქმედების საჭიროებას.

დიდი შეცდომა არის, როდესაც ამბობენ, ქართველებს თვითგამორკვევის თავისუფლება უნდა მიენიჭოსო. ქართველ ერს დიდი ხანია აქვს თავისი გარკვეული კულტურული იდეალები, მას დიდი ხანია აქვს თავისი გარკვეული ტერიტორია. და თუ კავკასიაში მოსახლე ერთად დამოკიდებულება ისეთი არის, რომ შეუძლებელია მათთვის ამ მოკლე ხანში საერთო მმართველობის შემოღება, რომელიც ყველასთვის თანაწორად სასურველი იქნება, ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს, ამის გამო შევაჩეროთ საქართველოს პოლიტიკური მოწყობა, მით უფრო რომ საქართველო თვითონ, ცალკე შეუერთდა რუსეთს.

ქართველ ხალხისთვის საჭიროა საკუთარ კულტურულ-ეროვნულ იდეალებს შერჩენა და განვითარება. საამისოდ საჭირო არის, ერთის მხრივ, მოსპობა ეროვნულ განცალკევების მახინჯი მისწრაფება, და ამასთან ერთად, მეორეს მხრივ, უნდა მოსპობს აგრეთვე ეროვნულ თვითმკვლელობის სურვილი, თავის ეროვნულ კულტურაზე ხელის აღება. საკუთარ კულტურის განვითარება ქართველ ერს მეზობელ ერებთანაც დააკავშირებს და ხელს შეუწყობს ქართველების საერთო კეთილდღეობას. ამ გზას უნდა დაადგენ თვით რუსებიც საქართველოში, ეს უფრო სასარგებლო იქნება მათთვის, ვიდრე ქართველების გარუსება და გადაგვარება. ძალმოძრებობაზე აგებული ბატონობა თვით ბატონს რყენის, — ეს უტყუარი ისტორიული კანონი არის. ეს კანონი არ გაეგებოდათ რუსეთის მმართველებს წინეთ, — შეიძლება ვერ შეიგონ იგი თვით რუს ერის ახლანდელმა წარმომადგენლებმაც: საკუთარ ერისთვის თავისუფლების მოპოვებით დაკმაყოფილდნ და და-

ჩაგრულ დამო ნებულ ერებს ასეთივე თავისუფლება არ მიანიჭონ, მაგრამ მათი ასეთი ქცევა შეაჩერებს განვითარებას დევში ქართველთა საკითხის განვითარებას? თუ ეს საკითხი ამის გამო უფრო გართულდება და უფრო სახიფთო გახდება რუსეთისათვის?

სწორედ ამ დროს, როდესაც ხალხს წარმომადგენელთა ხელში ცოტადნათ მაინც გადადის სახელმწიფოს მართვადამეგობის საქმე, მეტად საჭირო და სასარგებლოა ასეთ „მოღვაწეების“ ჯგოფიანი დაფესება, როგორც იყო და არის ქართველობას დაუძინებელი მტერი მამა იოანე ვოსტოროვი, რომელიც დღესაც კიდევ არ იშლის თავის უსახლოვრო სიძულელით მოშამულ მოღვაწეობას და რუსეთში ყოფნის დროს ძირს უთხრის ქართველებს კულტურულ განვითარებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პროფ. მარტის ზემოდაღნიშნული წიგნაკი, რომელიც პეტერბურგში ბ. ალ. არაბიძის მიერ ახლად გამოცემულია, და 25 კ. ღირს. ჩვენ ამოვიღეთ და მკითხველს გავაცანით პროფ. მარტის მთავარი აზრები ქართველთა თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, ამავე წიგნაკში ცნობილი პროფესორი ქართველების წარსულ კულტურულ ცხოვრებას და განვითარებას მოკლე მოგებით-ხრობს და ცალკე კიდევ არჩევს მამა ვოსტოროვის წერილს, რომელიც შარშან ერთ რუსულ ჟურნალში იყო მოთავსებული და საქართველოში სწავლა-განათლების საქმეს ეხებოდა. პროფესორი მარტი აღნიშნავს ვოსტოროვის სრულ უეცობას და გვაცნობს მის მოღვაწეობის ნამდვილ მიზანს და ხასიათს.

ამ მოკლე წერილში ჩვენ არ შევეცდოთ მკაზხველებისთვის გადმოგვეცა ამ წიგნაკის მთელი შინაარსი და მრავალი საგულისხმო შეხედულება. ცოცხალად და გრძნობიერად დაწერილი წიგნაკი მკითხველსაც იტაცებს და აშკარად ხდის, თუ რამდენად შემკადარი არიან ის, ვისტორიკოსებური რუსი მოღვწეები და ზოგიერთი ჩვენებური პოლიტიკოსები, რომელნიც ჯგოფიანის ყურადღებით არ ეყიდეიან ქართველ ერის კულტურულ განვითარებას და ფიქრობენ, რომ ადვილად შეიძლება საკუთარ კულტურის მქონე ერის გადაგვარება.

ვურჩევთ ყველას ეს წიგნაკი გულდასმით გადაიკითხონ, ასეთის შინაარსის და ასეთი მდიდარ შინაარსიანი წიგნი ქართულ ერის წარსულ და აწქეც კვანძების შესახებ ცოტა მოგვეპოვება.

კ—ი.

სათათბირო და გაზ. „ლაშქარი“

ჩვენ ვიცით, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ზოგიერთები სათათბიროს მოწვევამ. ისინი, ვინც იმ თავითვე გაებუტენ არჩენებს და სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადეს, რადგანაც იგი „რეაქციონერებთან აივსება“ — ისინი, ვინც ამტიციბდენ, რომ ხალხი ამ სათათბიროს მოსპობს და გარეყავსო, თვითონ გარიყული შეიქნენ და ახლა იძულებული არიან ამ სათათბიროზე ლაპარაკის კილო შესცვალონ. მართალია, სათათბიროს წევრთა უმეტესობა „ბურჟუაზიულია“, მაგრამ თვით ბურჟუაზიის მტერნიც კი ამ წევრთა გაბედულობა და მოხერხებულება ქცევამ ჩააჩუმა და მათ დანახა, რომ თვით უფლებამოკლებულ სათათბიროსაც კი განუზომელი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრის შექმნისა და მთავრობის საწინაღმდეგო ოპოზიციის გაძლიერებისათვის. „კადეტებთან“ ბრძოლა, „ბურჟუაზიის“ გინება, უწინდელ ჩვეულების

მიხედვით, კიდევ ისმოდა საჯარო კრებებზე, რომელთაც სოციალ-დემოკრატიული წრეები მეთაურობდნენ, მაგრამ უკვე იჩინა თავი ახლმა შეხედულებამაც სათათბიროზე და თვით სოციალ-დემოკრატიულმა გახეთქებამ რუსეთში ანხანაგებს უჩინეს, სათათბიროს და სათაბიროში გაბატონებულ „ბურჟუაზიულ“ პარტიის გინებას უკლონ, რადგანაც დღეს სათათბიროსთან ბრძოლა მთავრობისათვის ხელის შეწყობას ნიშნავს. პირქით, ყოველმა რევოლუციის მომხრე პირმა უნდა დაუჭიროს მხარი მის წევრებს, თანაგრძობა უნდა გამოუცხადოს, დახმარებას უნდა დაჰპირდეს, რომ ამ დახმარების იმედით სათათბიროს წევრებმა უფრო მეტის მხნეობითა და გაბედულობით ებრძოლონ მთავრობას.

მართლაც, ასეთ ქცევას მოითხოვდა რევოლუციის ერთგულება და საქმის გაკეთების გულწრფელი სურვილი. არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომლის მოქმედება აკვირდნიადავზე არის აშენებული, არ შეუშინდება იმას, რომ ამა თუ იმ ცვლილების შემოტანა სახელმწიფოში სხვა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას წილად ხვდა, რადგანაც პარტიის შეგნებული წევრები მას საერთო პროგრამისთვის ემხრობიან და არა იმისთვის, რომ ეს პარტია „ახერხებს“ ამა თუ იმ რევოლუციის მიღებას. რა ვუყოთ, რომ დღეს სათათბიროში ბურჟუაზია უმრავლესობას შეადგენს,—თვით სოციალ-დემოკრატიული მწვრღები რუსეთში გარკვევით აცხადებენ, რომ დღევანდელი რევოლუცია ბურჟუაზიული რევოლუცია არის და არა სოციალისტური, რომ ამ რევოლუციით ისარგებლებს ბურჟუაზია, რომელიც მოპოვებულ თავისუფლებით ეცდება თავისი ძლიერება განავითაროს,—მაშ რად უნდა გვიკვირდეს ან რად უნდა გვწყინდეს თუ ამ რევოლუციაში ბურჟუაზიამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო და მრავილი თავგამოდებული მოღვაწე წამოაყენა. არც ერთ შეგნებულ ადამიანს ეს გარემოება არ გააკვირვებს და სათათბიროში „ბურჟუაზიულ კადეტების“ მოქმედება და ბატონობა ხალხში ნდობას ვერ დაუკარგავს დანარჩენ პარტიებს, თუ ამ პარტიებმა სათათბიროსთან ერთად მოახერხეს ხალხში მთავრობის საწინააღმდეგოდ შეთანხმებული მოქმედება.

მხოლოდ სუსტსა და ეფექტების მოტრფივალე პარტიას შეუძლია იწყინოს, თუ ხალხისთვის სასარგებლო საქმე სხვა რომელიმე პოლიტიკურ პარტიის სახელით კეთდება. მხოლოდ იმ პარტიას, რომელსაც „თავისიანების“ იმედი არა აქვს, სწყინს, თუ საქმე „სხვამ“ გააკეთა.

ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს „სწყინთ“, რომ სათათბიროში „ბურჟუაზიამ“ მთავრობისთან ბრძოლა გამართა, მათ „სწყინთ“, რომ კავკასიელმა სოც. დემოკრატებმა იქ ვერ ისახელეს თავი, ისინი ირწმუნებან, რომ უკავკასიელ სოც. დემოკრატებოდ რუსეთში საუკეთესო არ გაკეთდება.

მართლაც, სათათბიროს ოპონენტების ქვე კუთხედს შეადგენს ღვცთა საკითხი. „ლაშაბარი“ ამ საკითხში სათათბიროს ყველა წევრის და პარტიის ქცევას სწუხობს, „ოპოზიციას“ აბრალებს: „შრომის ჯგუფმა“,—სურს იგი—საძუხაროდ, ჯერ ოჯახის ენერგიით არ დაიცვა თავისი წინადადება ადგილობრივ კომიტეტების შესახებ და შავისდა უნებურად თითქოთვითონვე მიიღო მონაწილეობა მის ჩაფუჩქებაში, მის უარყოფაში. მაგრამ, სამაგიეროდ, აგრარულ კითხვის უფრო სწორეთ და პირდაპირ დაყენების ჯარი ეხლა მუშათა ჯგუფზე მიდგამართალია, ამ ჯგუფსაც დღეს-დღეობით მოქმედებაში ჯერ კიდევ ნაკლებად შესწევს სიმაკრე, მაგრამ მას მალე შეუერთდებიან კავკასიელი ამახანაგები და იმათი მეთაურობით, ლა-

პარაკი არ უნდა, მუშათა ჯგუფი საესებთა შესძლებს ჯერ-ვანად დააყენოს აგრარული კითხვა. იმედია, ს. დემოკრატები მთელ მშრომელთა ჯგუფზედაც დაგვლენას მოახდენენ... („ლაშაბარი“ № 36).

ამნაირად, სათათბირომ თუ მოახერხა აგრარულ საკითხის გადაწყვეტა, ხალხი, „ლაშაბარის“ სიტყვით, კავკასიელ ს. დ. დემოკრატების მადრიელი უნდა დარჩეს,—თუ არა და მაშინ ხომ კადეტებს „მუხანათობას“ გადააბრალებენ: „ლაშაბარის“ პუბლიცისტს კავკასიელი ს. დ. დემოკრატები იმ დერბად წარმოუდგენია, რომლის გარშემო უნდა დატრიალდეს სათათბიროს მოქმედება და თვით რუსეთის რევოლუცია შემდეგში.

„ლაშაბარი“ ავიწყდება, რომ რუსეთში გლეხთა მოძრაობა სოფლად ს. დ. პარტიის გავლენის გარედახდებოდა და ახლაც ხდება, რომ პარტია ყოველთვის გულგაგორებით უტყვეროდა სოფელელთა მდგომარეობას და ღოგმის გულისთვის თავის აგრარულ პროგრამას არ ცვლიდა და ამით რუსეთის სოფლებში ვერავითარი გავლენა ვერ მოიპოვა. რომ თვით გლეხთა კავშირის კრებაზე, სადაც რუსეთის გლეხობამ აირველად მოახერხა თავის საკუთარ იდეალების წამოყენება და სადაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლებმა კოებისაგან მოითხოვეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობა მიეღოთ, გლეხებმა სოციალ-დემოკრატებს უპასუხეს,—თქვენ ქალაქის მუშათა, პროლეტარიატის წარმომადგენელი პარტია ხართ და თქვენს შესაფერი პროგრამა გავკვთ შემუშავებული, ჩვენ კი სოფლის იდეალები გვაქვს წამოყენებული,—ჩვენ ერთმანეთის სწორი ვართ და ისეთივე უფლება გვაქვს ვიპოქედოთ სხვის ხელმძღვანელობის გარეშე, როგორც თქვენ, და ამიტომ ცალკე პარტიას ვაარსებთო. გლეხთა კავშირი მთავრობამ დახურა, კავშირის ზოგიერთი გამოჩენილი წევრები დაატუსაღა, მაგრამ მის არსებობის სრული მოსაზობა მაინც ვერ მოახერხა. დღეს რუსეთის სათათბიროს თუ ასეთის ძლიერებით მოახერხებს მთავრობის საწინააღმდეგოდ აგრარული საკითხი,—ეს გლეხთა კავშირის საქმეა, იმ კავშირისა, რომელმაც ს. — დ. პარტიის ხელმძღვანელობა უარპყო.

„ლაშაბარი“ აღიარებს, რომ აგრარული საკითხი ძირითად საკითხად გადაიქცა დღევანდელ რევოლუციაში, მაგრამ ავიწყდება და არ ამბობს, რომ ამ საკითხის ასეთი გაძლიერება ოუსკითხი სოც. დემ. პარტიის გარეშე მოხდა.

ახლა კი კავკასიელ ს. — დ. დემოკრატების იმედით გვიტოვებს სსეაულ საკითხს...

რატომ? იმიტომ, რომ „ამ საკითხს ვერაინ გვერდს ვერ აუხვევს, ხოლო, თუ თისც კიდევ ვინმემ ამ კითხვას ჯეროვანი უუარაღდება არ თიქცია, თას თახდათან ოვეოლუცია გვერდს აუტყვეს... ვინც გლეხთა მოახოვინილებას მხარს დაუქვოს და თავად დაიცავს, იმას ოვეოლუცია, მთელი გლეხაკობა მეღგოად დაუქვოს მხარს. ხოლო ვისაც და თასაც კი გლეხაკობა მხარს მისცემს და ზოგჯერ გაუთავოვებს, გამაჯგვეტულიც ის დარჩება“ („ლაშაბარი“ № 36).

ხუ გაუკვირდება მკითხველს, რომ ამას იმ პარტიის ორგანო ამბობს, რომელიც მუდამ მხოლოდ ქალაქის პროლეტარიატის, ქალაქის მუშა ხალხის საშუალებით აპირებდა რევოლუციის დაწყებას და დასრულებასაც, რომ ახლა „ლაშაბარი“ ისეთსავე ძვიზნელობას აძლევს გლეხობას, რომელსაც წინეთ მხოლოდ „ბურჟუაზიული“ წოეები აძლევდნენ მას. აქ დამახასიათებელი ხოლოდ „ლაშაბარის“ რწმენაა, რომ, ვინც გლეხობას არ ეიებობა, ის გარიყული დარჩებაო. აი ახლა,



ამიტომ, კავკასიის ს. დ. დეპუტატებს აკისრებს გაზეთი გლეხთა საკითხის გადაწყვეტას და ხალხს, თავის მკითხველ საზოგადოებას არწმუნებს, უჩვენდებუტატოდ რუსეთის სათათბირომ და თვით რუსეთის სოციალ-დემოკრატებმაც ვერაფერი ვერ გაარიგესო, მაგრამ ჩავლენ ისინი, და რევოლუცია სასურველ მიმდინარეობას მიიღებსო. აი რა მნიშვნელობა აქვს კავკასიურ სოციალ-დემოკრატულ პარტიას რუსეთისთვის...

მათალია, ზოგიერთი რუსი სოც.-დემოკრატი, სათათბიროს მოწვევის შემდეგ, აცხადებდა, კავკასიის ს.-დემოკრატ დეპუტატების ჩამოსვლას, საქმისთვის არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვსო, მაგრამ ასე არ ძსჯელობს „ლამპარი“ და ამით მას შეცდომით შეჭაყვს ხალხი და ამოძრეველები, — მათში იგი პადებს ილუზიებს, სწორედ იმ ილუზიებს, რომელსაც ხვებში სწუხობს. მას ემხიბა, ვაი თუ უჩვენოდ გაკეთდა საქმე, იცის კიდევ, რ.მ., თუ საზოგადოდ გასაკეთებელია, უფისოდაც გაკეთდება იგი, მაგრამ არ ტუდება და გაიძახის — ჩვენი დეპუტატები რომ ჩავლენ პეტერბურგში, მაშინ აგარაული საკითხი მესაფერად და ხალხის საკეთილდღეოდ გადაწყდებაო.

ფექტი და იეკლამაც ასეთი უნდა! სგ. მ — შკაღა

რუსეთის სხომრებშიან

უსამართლობისა, უკანონობისა და ძალმომრებლ. ს კლასიკურ ქვეყანაში, კურთხეულ რუსეთში, — ჩვენ ვერაფერი გავაკვირვებს. მთელი ისტორია რუსეთისა არის იტორია პოლიტიკურ ავანტიურზმისა, სუსტ ქვეყნების მოპარვისა, ხალხის ცოცვა-გლეჯისა, ბიუროკრატის თვითნებობისა და ისეთ უკანონო-ძალ მოძრებობისა, რომელსაც ოსთალეთის სულთახიც კი შურით შეჭაყრებს. ჩვენ საკუთარ თვალთ ვხაზთ უფაგალითო ავანტიურა შორეულ აღმოსავლეთში, საკუთარ თვალთ ვხაზთ ხალხის პირველი შემეფეხა შარან შიანვარს, სეფსტოპოლისა და ოდესის აჯახება, მოსკოვის ბარიკადები, საქართველოს ოხრება და ბალტიის მხარის აკლება; ჩვენ კარგად გვახსოვს და არასდროს არ დავივიწყებთ ტრეპოვს, დუბასოვს, ორლოვს, ალიხანოვს, ტიმოფეევს, რენხენკამფს, ნეიდგარტსა და დურხოვოს, რომელთა თავი ხსოვსა ცეცხლის ასოებით არის აღბეკილი ჩვენს გულში. ამ ხსოვნას ჩვენს მოძაგალ თაობას გადავცემთ და ისევე ვიამყებთ 1905 — 1906 წლებით, როგორც ფრახგები ამაყობენ 1789, 1848 და 1871 წლებით. ჩვენ ყველაფერი გამოვცადეთ, ჩვენ ყველაფერი ვხაზთ, ჩვენ ყველაფერი გვსძეხია, მაგრამ ის, რაც ხდება რიგაში და რაც ოსოუსდენია შარძან დეკემბერში მოსკოვ.ს მახლობლად პოლკოვნიკ რიშანს, — დღემდის გავონილსა და ნახულს აღმეტყა. ჩვენ მძვნიერად ვიცით, რომ ის, რაც მოხდა რიგასა და მოსკოვის მახლობლად, დღესაც ხდება განუზომელ რუსეთის პირზე, რომ ასეთი აბები შეიძლება შემდეგ მიაკ მოხდეს, შეიძლება ათასჯერ უარესიც მოხდეს, მაგრამ არ შეგვიძლიან წინდაწინვე არ გავაფრთხილოთ ხალხი და არ ვუთხრათ მას: „კარგად დაისწავლე ეს მაგალითი, ღრძად აბიექტე ხსოვნაში და არასდროს არ დავავიწყდეს ის, ვინც ასე აფასებს შენს სიცოცხლეს, პიროვნებას და უფლებას!“

გაზეთ „რუს“-ის თანამშრომელმა ვლადიმეროვმა მიხნად გაიხანდა მოსკოვისა და ბალტიის მხარის „ლამპარების“ ისტორიის შესწავლა და მხნედ შეუდგა საქმეს. მისი წერილები იბეჭდებოდა გაზეთებში და ელა ცალკე კრებულად გა-

მოვიდა. ეს კრებული არის საშინელი ისტორია ხალხის წამებისა, ჯვაოციისა და ინკვიზიციისა.

„რიგაში სამი საინკვიზაციო ოთახია, შემდეგ მისი ავტორი. სამივე ოთახში ხალხს აწამებენ. უფროსები საინკვიზაციო ოთახიდან შორეულ ოთახში გადიან, უძცროსები კი კახაკების დახმარებით დამნაშავეს ჩვენებას აოთმევენ. სცემენ სასტიკად, სცემენ გულდასმით, სცემენ გაბრაზებით. სცემენ მათრახებით, თოფის კონდახებით და რეზინის ჯახებით. გარდა ამისა სპეციალურად მათთვის აქვთ თოკები, რომლებშიც ჩხლათოთლია ძაყთული. თუ დამნაშავე არ გამოტყდა და ამხანაგები აო დაასაყლა, ძყაებელი თავის გახტყულ ამხანაგს აყოამოვს პადავეს: თმას გლეჯენ, იოაში მათილი აყრიან, ელექტროხსაც იძვლიებენ. ყლადმიბროვი პოლდაპო ასახელებს იმ ადგილს, სადაც ეს აშაეი ხდება და იმ პიოებს, ოაელოთაც თავის თავზე გ. მოსცადეს ახალ ფორმის ჩვენების ჩაოოთმევა. ზოგი ასეთი წაშეა დაძტიკიებულია საჭოობილეს ევითის ხელის მოწერით. ამას წაიად ოიგის სამხედრო სასაართლომ შ კაცს სიკვდილი გადაუწყვიტა და რვანივე ისე სწრაფად დახვიოტეს, რომ გასანიერების ნებაც არ მისცეს. სასამართლოში ცხადად დაძტიკდა, რომ ნ კაცი სრკლიად უდანაშაულო იყო, მაგრამ სასამართლომ ამას, რასაკვიოყელია, ყუოადლება აო ძიაქცია, რადგან საჭირო იყო წაყეის კვალის მოსაომა. ელა იგივე სასაართლო არჩევს შნ კაცის საქმეს, რომელსაც ასეთი ისტორია აქვს: „4 პატიშაოი ოიგის საჭოობილეთი გაგ ხანეს, პატიშრეას მისდევდეს დაოაჯეი და მათ შოის ტყევისიტყორცხელ ოოტის კაიიტასი პავლოვსკი. პატიშრეი ელაქი კი აო გაატარეს, აოაქედ განაპიოა უახებია წაიყვანეს. მთვარაიხი ღამე იყო. ძიყოფებულ ძინდოოზე რომ გავიდე, შეჩეოდენ, კაიიტახა პატიშრეას უბრძანა, ცოდვები შოიხაიეთ და გამოტყდით, რომ „ხადეედის“ კახტოოა თქვენ გაქურდეთო. იმათ უარი განაცხადეს, ჩვენ მაგ საქმეში აო ვუოევიგაოთო. კაპიტახი დამეუქოა, თუ აო გამოტყდით, ყველას დაგზოცავთო და ერთ მათგანს — იოდისს — უთხრა, გახე გადეი და შოიფიქყო. რამდახივე წუთის მქედეკ კაპიტახაძკითა, გამოტყდები თუ არაო. იმახ ყოთხელ კიდეკ გაიქიოოა, უდანაშაულო ვარო. კაპიტახმა სალდათებს მისი დახვიოტის ბრახება ძიაცა. იოდისი გახე გაიყვანეს, თოფები დაახლეს და დახვიოტეს. იოდისი იქვე მოკვდა. კაპიტახს ეგოხა, დახარჩეხები დაძინდებიან და ყველაფრში გამოტყდებიანო, მაგრამ ეოოემ, ვიძე ბუძმამაც, უარი სთქვა კაიიტახის თოვაზზე, არაყვიოი არ ვიცი და ვერავის დაგისახელებთო. ბუშმანსაც თოფები დაახლეს და იქვე დააწვიეს. კაპიტახმა ასანთი გაჭოა, დახვრეტილები გასინჯა, ხომ არ სუნთქავენო და შემდეგ დანარჩეხებს შიუბრუნდა. დანარჩეხები შემინდენ და შნ კაცი დასახხლეს. კაპიტახის შოულოდნელოდ ბუშმანი გამოცოცხლდა და ერთი თვის შემდეგ სრულიად განიკურნა.“

ასეთი გახლავთ რუსეთის მართლმსაჯულება. მაგრამ ეს არაფერია შედარებით იმასთან, რაც ჩაიღინა დაჯილდოვებულმა პოლკოვნიკმა რიშანმა. მისმა საქციელმა იძდესად აადლევა საზოგადოება, რომ მის წინააღმდეგ აღსდგა თვითან მხედრობა. სახედრო გაზეთი „გოენი გოლოსი“ ასეთ წერილს უძდენის რიშანს: „თქვენ შოგძართავთ, პოლკოვნიკო რიშან, — თავი გაიმართლეთ! ბრალსა გდებთ 1) იმაში, რომ 1905 წელს 16 დეკემბერს მოსკოვ-ყახანის რკინის გზაზე სადგურ პეროვში მოავედით მატარეალით და სალდათებს მოაკვლევინეთ სადგურის უფროსის თანამეძმე სეოგეი ორლოვსკი

იმ დროს, როცა ის კიბეზე აღიოდა. თქვენ არც ჩვენება ჩამოართვით მას, არც დანაშაული აუხსენით და არც გამოაჭიხებთ რამე. დაქრალი ორლოვსკა სალდათებმა თქვენ თვალწინ ხიშტებზე ააგეს. 2) იმავე დღეს და იქვე თქვენ ოთახში მიიწვიეთ სადგურ პეროვოს უფროსის მეორე თანაშემწე ალექსი ლარიონოვი და, როცა ოთხიდან გამოხვედით, ლარიონოვს უბრძანეთ, რომ თქვენ წამოგყოლოდა, რაიც მან შეასრულა. ცოტა ხნის შემდეგ იქვე კიბესთან მდგომ ოთხ სალდათს თქვენ უბრძანეთ: „ხიშტებზე ააგეთ ეს კაცი!“ როცა ხიშტებით გაგმირული ლარიონოვი პლატფორმაზე დადევს, თქვენ საკუთარ ხელით რევოლვერი ესროლეთ მას საფეთქელში და მოჰკალით. 3) იმავე დღეს და იქვე თქვენ გასჩრიკეთ რკინის გზის მოსამსახურე ივანე ოვოდოვი, რომელმაც ზრდილობიანად მოპყრობა გთხოვათ. თქვენ იმის მოხუც დედას დაუცვიეთ: „ჩამომეცალე, ბებერო!“, მარცხენა ხელით მოხუცი მოიშორეთ, ხოლო მარჯვენა ხელით ოვოდოვს შუბლში რევოლვერი ესროლეთ და იქვე მოჰკალით. 4) 1905 წელს 17 დეკემბერს თქვენ ჩახვედით პოდოსინკის სადგურზე, გარეთ გამოიწვიეთ კანტორნიკი მიხელსონი და იქვე მოაკვლევინეთ. მასთან ერთად თქვენ მოაკვლევინეთ ორი რაზმელი და არც ერთს მათგანს ჩვენება არ ჩამოართვით, ბრალი არ დასდეთ და თავი არ ამართლებინეთ. 5) იმავე დღეს თქვენ დააბატიმრეთ სადგურ ლიუბერცის უფროსის თანაშემწე პ. სმირნოვი, რომელსაც გამოუცხადეთ, რომ მას სიკვდილი მოეღოს. მეორე დღეს სმირნოვი წყლის აუზთან გაიყვანეთ და თქვენ თვითონვე მოჰკალით: ჯერ ესროლეთ პირისახეში, მერე კეფაში და მერე საფეთქელში. 6) 1905 წელს 18 დეკემბერს თქვენ მიხვედით სადგურ გოლუტინოში. იქ დაგხვდათ გოლუტინოს დეპოს მემანქანე ვარლამოვი, რომელმაც ლაპარაკის ნებართვა გთხოვათ, მაგრამ თქვენ პასუხად სალდათებს უბრძანეთ: „დახვრიტეთ ეს კაცი!“ თქვენი ბრძანება შესრულდა. 7) ამავე დღეს, ვარლამოვის დახვრეტის შემდეგ, თქვენ დაბრუნდით სადგურზე, სადაც შეგხვდათ მანჯურიიდან დაბრუნებული სათადარიგო სალდათი ილიჩევი, რომელსაც გამოელაპარაკეთ. თქვენი ლაპარაკი არავის გაუგონია, მაგრამ ლაპარაკის გათავების შემდეგ თქვენ დაუყვირეთ მას: „აბა გაბედეთ ვინემ და ხმა ამოიღეთ! დაგხვრეტათ!“ — და ილიჩევი საკუთარის ხელით მოკალით ოთხი ტყვიით. ჩვენ არას ვამბობთ თქვენი მოქმედების ხასიათის შესახებ, რომელსაც შედეგად მოჰყვა 150 კაცის დახვრეტა, რომელთა შორის ორი კაცი — სტოპჩუკი და საპოკოვი — მათი ძმების მაგივრად შეცდომით დახვრიტეთ, მაგრამ შემოსხენებულნი ბრალდებაც საკმარისია, რომ გითხრათ თქვენ, სამხედრო მუნდირში გამოწყობილ პოლკოვნიკს: პოლკოვნიკო რიანი! თქვენ გამტყუნებენ საჯაროდ იმაში, რომ თქვენ ერთად შეართეთ სამარცხვინო საქმე სამხედრო კაცისთვის: თქვენ ხართ უკანონო მოსამართლე და ჯალათი. თავი გაიმართლეთ!“

„თავი გაიმართლეთ!“ სწორედ რომ ლამაზი და მარტივად სიტყვაა, მაგრამ რა ფასი აქვს ამ სიტყვას? რა ფასი აქვს დღეს, როცა რივაში დახვრიტეს 6 უდანაშაულო კაცი, როცა სვესტოპოლში საქმის გარჩევამდის სიკვდილი გადაუწყვიტეს რამდენიმე უდანაშაულო მკირეწლოვანს, როცა სოველ დღე და ყოველ წუთს მთელ რუსეთში ათასი და ათი ათასი ასეთი უსამართლობა ხდებდა, როცა ტრეპოვი, რიანი, ოროვი, ნეიდგარდტი, ალიხანოვი და რენენკამეი იმდენ ახალ საჩუქარს იღებენ, რამდენ უსამართლობასაც ჩადენდნენ, რამდენ უდანაშაულოსაც დასჭრიან და დახვრეტავენ? არა! დღეს

ასეთ სიტყვას ფასი არა აქვს. არ ვიცით, რას უპასუხებს პოლკოვნიკი რიანი, ან უპასუხებს თუ არა, მაგრამ ნისქრ ცხადია, რომ ის ახალ საჩუქარს მიიღებს. ხვალ თუ ზევ რიანი დაინიშნება მის უდიდებულესობის ამალაში.

ნ ა წ ე ვ ე ტ ი

იმას დევნიდა საუკუნოდ
საუკუნემდე
კიდითი კიდე სრა-სასახლე
შეერთებული!..
იმას დევნიდა თვით ტრაპეზი
მისვე სახელით,
ხან უმეცარი ბრბო ქუჩასა
ახვირთებული!..

ხან ჯალათის წინ შებოჭილი
იღგა მდუმარედ,
ეკლის გვირგვინით თხემ-შემკული,
გულ განაწონი,
ის ხან ჯვარს აცვეს, ხან ჩაქოლეს
შეუბრალებლად,
ხან გულუბრყვილოდ მას აუჯუნეს
ცამდე კოკონი!..


მასვე განაგრძობს ბოროტების
შთამომავლობა,
იმას კვლავ დევნის უმადური
კაცთ ნათესავი!
ვერც მეფის, ვერცა მის მაგვართა
უგრძობელ გულში,—
მან მხოლოდ ერთგან — ქონის ქერ-ქვეშ
მიაყრდნო თავი!..

აჰა, მტარვალნო, აწ მოიძიეთ
შრომის ნაყოფი:
ქონი იფხიზლებს, მან აღმართა
დროშა სიმართლის!..
ძრწოდეთ ჯალათნო, წურბელებო,
ქვეყნის მძარცველნო
და გეშინოდეთ, ლამურებო,
მარად სინათლის!..
დ. თამაშგადა

გოდება თანამედროვე წინასწარმეტყველისა

მე ნარი ვგლოჯე, ეკალი,
სხვამ კი მოიძიო სამკალი.
სხვამ მოხნა ჩემი მამული,
დაილუნგდა ჩემი ნამგალი.

მდინარე კაცა არჩობდა,
გონი მოჰხადა, წაიღო.
გადვიქერ. . გადავარჩინე...
სხვამ-კი მადლობა მიიღო.



რაღა? იმიტომ, რომ სხვამა
 დ სახა თავი მეშველდა.
 იყვირ : „მე ვადვარჩინე!“
 დაჟინებითა ქვეყნადა.
 მე ვსდუმიდი... ამიტომ მაღლი
 არეინ დასახა ჩემადა.

მთას დავედევნე ირმის ხროს,
 ყელამდე თოვლსა ვკვალავდი.
 ხარს დავკარ ქორბუდიანსა ..
 და იმ დროს, როცა ვწალავდი
 სხვებზე წამართვეს .. წაიღეს...
 ცრემლებს ველარა ვმაღავდი...
 მივდევდი... ვეჩხუბებოდი ..
 ამაოდ ყბებსა ვღალავდი:
 ლეშიც წაიღეს, ტყავიცა,
 იმათ ოჯახი ხარობდა.
 ჩემსას კი ჰკლავდა სიმშლილი,
 მაგრამ არაეინ ბრალობდა.

შარის პირს ბავში ვიბოვნე,
 უპატრონოდა გდებული.
 სირცხვილის დასამალავად
 მშობლისგან მივიწყებული.
 იმ დროს მივასწარ, ჩვილს ყრმასა,
 ის იყო სული ჰხდებოდა.
 დედად მე ვექმენ: ვუარე
 რაც ჩემგან შაიძლებოდა.
 გავზარდე, დავავაჟკაცე,
 უღვაშის გრეხა დაიწყო...
 ბოლოს კი როგორ გგონიათ?
 ლანძღვა და ცემა დამიწყო.

ქალი ტყვედ მტერსა მიჰყავდა,
 გულ-საკლავადა ჰკიოდა...
 ვუშველე, გამოვიხსენი
 ხმლითა მცეს სისხლი მდიოდა.
 რად აგატროთ იმის თქმით—
 წყლულები როგორ მტკიოდა?!...
 მხევალს ჩავაცვი, დავხურე,
 ვაჭამე, —პური ჰშიოდა.
 ვაცოცხლდა, გამხიარულდა,
 როგორცა ვარდი ჰღვიოდა.
 ვიშვილე, რადგან მუდამ დღე,
 იგი ობლობას ჩიოდა.
 ერთის წლის შემდეგ რაც ვნახე,
 ნახულით ცრემლი მცვიოდა.
 ბიქს ვისმე შეჰყვარებოდა
 პროშტს პროშტზე გადაიოიოდა.
 ყურს ვუგდებ, ერთრჩულებას,
 სიტყვებს შარბათად მდინარსა
 ჩემზე: „ჩავარჩოთ სულელი
 „და წყალსა მივცეთ მდინარსა.
 „მისი ქონება დავგჩება,
 „ერთად ვავიჩენთ ბინასა;
 „შენ ქმარი იყავ, მე ცოლი,
 „სხვა რა აჯობებს იმასა?!“

ძმობილი მყანდა ერთგული,
 ღმერთად მივანდი,—მიმაჩნდა,
 რას ვიფიქრებდი, თუ ისა
 ამ ვერავობას იზამდა:
 ლამაზი ცოლი შვერთო,
 კეკლუცი, რაღაც წიწინა...
 თუ მიცნო, წინ მომეგება,
 კიბეზე ჩამოირბინა.
 „ჩემს ქმარს ძალიან უყვარხარ“,
 მითხრა ყველაზე წინ-წინა.
 მეც ხშირად ვიარებოდი
 ძმა — მეგობრობის წესითა.
 ბოლო ჟამს მეგობრის ცოლი
 მესაუბრება კვენსათა
 და ერთხელ ვითომ და-ძმურად
 ბევრი მიკრიბა—მიცინა.
 მე შევუბღვირე: რას შვრები?!
 ქალმა ეს ძლიერ იწყინა.
 სხვა ხნეობრივი კანონი
 მე გადავშალე მის წინა.
 ქალი გამიწყრა, წავიდა
 წასვლაში დაიქვითნა:
 ამ დღიდან ჩემს მეგობარსა
 ეშმაკი აეკვიატა
 ჩემდამი მის სიძულილემ,
 ვხედავ, დღითი-დღე იმატა.
 ზიზლით მიცქერის, გამირბის
 როგორცა მგელსა ცხვარია.
 და დამეკეტა სამუდმოდ
 მეგობრის სახლის კარია.
 აღარცა მკითხავს მიზეზსა
 თუ რისთვის გავაცხარია.
 მეკითხოს მაინც, ავუხსნა
 საქმის ავი და კარგია.
 მე არ მოგიკვდე, მეძახის:
 „აქედან დაიკარგია!“

სხვების გულისთვის ვავტრტვლდი,
 ტანზე არ შემრჩა პერანგი
 ყოველდღე ტანჯვას მიმარჯვებს
 წუთისოფელი ვერაგი.
 მად დავგმო წუთისოფელი?
 ყველა ეს ჩემი ბრალია:
 იმას ვაკეთებ, რასაცა
 მიჩენს გონების თვალია.
 თავი მაქვს დავიწყებული
 ვრგებ მას, ვინც შესაწყალია.
 მზად ვარ ის მოვიმოქმედო,
 სხვას ვარგო, თავი ვაწამო.
 ვფიქრობ სხვას ტრამოლად დავედგა
 ვიქმნა მის წყლულის მალამო.
 ამისთვის ცოლ-შვილი მწყევლის;
 გარეთ დამცინის ქვეყანა.
 „არ გიკვირსთ? რაება შვრება,
 „რომ ვაავიჟუ ნეტა რა?!“
 მედება ყოველ-მხრიდანა
 გმობის და წყევლის ბეგარა...

ყველასგან გულ-დაკოდელი
 რა გზას დაედაგე სავალად?
 წინ დაბრკოლება ბევრი მაქვს,
 ნარი — ეკალი მრავალად.
 მამ შევდრკე? ვწყველო და დავგმო,
 რაც მომწონს, რაცა სჯობია?
 თქვენ დაჰკეთო, მე კი არ ძალ-მიძს,
 კარგი რა დასაგმობია?!
 მოდით, წინ გადმომიდევით
 მტკიცედ გავლეთ ღობია.
 იმას ვერ დამაშლევინებთ
 რაც ჩემგან განაბკობია.
 თავ-განოდებულს ქცევასა
 ნუ თუ სჯობ ტვინის ობია?
 დაე, მე მოვკვდე ოხრად,
 როგორც ნადირი ტყეშია;
 თქვენ დაბრახებში სულს დაღვეთ
 მოხარეების ხელშია.
 რად გავიწყდებათ, მიწა ვართ
 ბოლოს, ყოველი ღვეშია.
 სიმართლე მიყვარს, სიმართლე,
 მიყვარს იმიი წესია.
 არ მენანება იმიიგან
 რამდენიც დამიკენესია
 ვესწრაფი კეთილის ქმნასა,
 გრძობებიც გამიღვინია.
 შესაბრალებელს ვიბრალებ,
 როგორც შიბრძანებს მესსია.
 თქვენი კანონი თქვენ იცით,
 ჩემი კანონი ესია.
 ფასს დასდებს ბოლოს ქვეყანა
 ვისაც რამ დაგვითვისია.

გაბა ფშაველა

აზარაშული ჩეფორმები ირლანდიაში

ირლანდია ინგლისს მე-**XVIII** საუკუნეში შეუერთდა. იგი ოთხ საუკუნის განმავლობაში მედგად იბრძოდა ეროვნულ თავისუფლებისთვის, მაგრამ ბოლოს ძალა სძლია სიმართლეს და მას აქეთ ირლანდიის ისტორია წარმოადგენს ეროვნულ თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიას. ეს ბრძოლა უფრო გაამწვავა ირლანდიელთა და ინგლისელთა საწმუხობების სხვა და სხვაობამ. ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა გადასწყვიტა კათოლიკე ირლანდიელების მონაფვლა პროტესტანტებად, მაგრამ ირლანდიელებმა ასეთ ძალმომრეობას მტკიცე უარით გასცეს პასუხი, რასაც შედეგად მოჰყვა მრავალ ირლანდიელის განდევნა და მათი მიწების (200,000 დეს.) ჩამორთმევა ხაზინის სასარგებლოდ.

მას აქეთ ირლანდია გადაიქცა ინგლისის მეფეთა საკუთრებად, რომელნიც არაფერს არ ერიდებოდნენ, ოღონდ ახალი მიწის ნაჭერი ჩაეგდათ ხელში. იაკობ I-მა საკუთრად ჩამოითაღა რამდენიმე ასი ათასი დესეტინა და გამოაცხადა: ვინც ვერ დაამტკიცებს, რომ ესა და ეს მიწა მას ეკუთვნის, მას ეს მიწა ჩამოერთმევა და ინგლისის ხაზინას გადაეცემაო. ამ კანონმა ათას ირლანდიელ ოჯახს მოუსპო ცხოვრების სახსარი და ულუკმაპუროდ დასტოვა. ბოლოს მათ მოთმინებასაც ბოლო მოეღო. 1646 წელს ირლანდიელები აჯანყდნენ ინგლისის მეფეობით და რამდენიმე ათასი პროტესტანტი მოჰკლეს. ინგლისმა მათი დამშვიდება მიანდა კრომველს, რომელმაც არაჩვეულებრივ სისასტიკითა და სიმეციით მოულო ბოლო აჯანყებას. ირლანდიელებს ეს აჯანყება ძალიან ძვირად დაუჯდათ. კრომველმა აუარებელი ხალხი გასწყვიტა, ხოლო, ვინც გადაჩა, დაასხლა კონხაუტის პროვინციაში. დანარჩენი სამი პროვინცია ინგლისელებმა ერთმანეთში გაიყვეს.

მაგრამ ირლანდიის უბედურება ამით არ გათავდა. მე-**XVII** საუკუნეში ირლანდიელები გამოეხარჩლენ ინგლისის მეფეს იაკობ II ს, რომელსაც ვილჰელმ ორანელი ეცილებოდა ტახტს. ირლანდიელები აქაც დამარცხდნენ: ინგლისელებმა 600,000 დესეტინა მიწა წაართვეს ირლანდიელებს და ხაზინას გადასცეს. ირლანდიელებს დარჩათ ირლანდიის მხოლოდ 1/11, დანარჩენი 10/11 გადავიდა ინგლისელების ხელში.

არც ეს აკმარეს მრავალ-ტანჯულ ირლანდიელებს. მათ აუკრძალეს მიწის ყიდვა და საკუთარ ქონების დაგირავება; თუ ირლანდიელს 1/2-ით მეტი შემოსილიდა საიჯარო ფასზე, ინგლისელს ნება ჰქონდა მისთვის მიწა წაერთმია; ირლანდიელი ხელოსანი ინგლისელ ხელოსანზე მეტ გადასახადს იხდიდა; ირლანდიელს არ შეეძლო ინკენერად, მებღავურად, ვეკილად და მოსამართლედ ყოფნა და სხ. იმ დრომდის ირლანდიელები ცხოვრობდნენ საქონლის მოვლა-მოშენებით და ინგლისში გაჰქონდათ ყველი, ეობო და სხ., მაგრამ ინგლისელებმა ესეც აუკრძალეს და ამით რამდენიმე ათასი ოჯახი ულუკმაპუროდ დასტოვეს. ირლანდიელებმა ცხვრის მოშენება დაიწყეს, მაგრამ ინგლისელებმა მატყლის გაზიდვა აუკრძალეს. ირლანდიელებმა გააშენეს შლის ქარხნები, მაგრამ ინგლისელებმა ისეთი დიდი ბაჟი დაუდვეს შალს, რომ ირლანდიელებმა ძალაუბერად ამასაც თავი დაანებეს. მათვე დაიწყეს მებღავურობა, მაგრამ ინგლისელებმა აკრძალეს იმათი გემებით საქონლის ზიდვა და ამით სიცოცხლის უკანასკნელი სახსარი მოუსპეს ირლანდიელებს, რომელთაც მხოლოდ ერთი საცხოვრებელი წყარო დარჩათ: მიწის ხენა-თესვა და სასოფლო მეურნეობა.

მაგრამ მიწა ეკუთვნოდა ინგლისელებს, ღენდლორდებს, რომელნიც თვითონ ინგლისში ცხოვრობდნენ, მიწას კი მოიჯარადრეებს აძლევდნენ 21, 31 და 61 წლით. ესენი ამ მიწებს ჰყოფდნენ და სხვებს აძლევდნენ იჯარით. ისინიც ასე იქცეოდნენ: თავის წილს რამდენიმე ნაქრად აქუცმაცებდნენ და ირლანდიელ გლეხებს აძლევდნენ. გაქირვებული გლეხები ერთმანეთს ეცილებოდნენ და საიჯარო ფასს უმატებდნენ. საიჯარო ფული წლის თავზე უნდა შეეტანათ. გლეხების მდგომარეობა აუტანელი გახდა. მსხვილი ფერმეურები, რომელთაც 50 დესეტინა ჰქონდათ აღებული იჯარით, მხოლოდ რძით და ქართოფილით იკვებებოდნენ და მუდმივ ყელამდის ვალებში იყვნენ. ხშირად ნომხდარა, რომ მოუსაველობისა გამო ირლანდიას საშინელი სტუმარი — შიმშილი სწყვეია. დამშუული და ვალის გამო უმიწოდ დარჩენილი გლეხები ყველაფერს თავს ანებებდნენ და უცხოეთში გარბოდნენ. 1847 წელი ირლანდიის ისტორიაში ცეცხლის ასოებით არის ჩაწერილი. დამშუული ხალხი ბალახით იკვებებოდა. ზოგი თავის სახლში კვდებოდა, ზოგი-მინდორში. სამი წლის განმავლობაში ირლანდიას დააკლდა 3 მილიონი მცხოვრები. ზოგი მათგანი დაიხოცა, ზოგი კი ამერიკაში გადაიხვეწა. უბედურება ის იყო, რომ საიჯარო სახნავზე ძვირად ფასობდა. ამიტომ

ლენდლორდები სულ იმას ცდილობდნენ, რომ გლეხებისთვის სახნავი წყაროებით და სხვისთვის გადაეცათ საძოვრად. საქონელი გაძვირდა, სხვაგვარად უმწაფელოთა და გადასახლებულ გლეხთა რიცხვმა იმატა.

ასეთმა გაჭირვებამ, რასაკვირველია, წინააღმდეგობა გამოიწვია გლეხებში. ზოგნი თხოულობდნენ ისეთ კანონების გამოცემას, რომელნიც გაუქმდა რენდლორდებს მადას შეუსუსტებდა და საიჯარო ფასს დააწვინებდა; ზოგნი გლეხებისთვის მიწის ვაშლისასყიდლად სესხს თხოულობდნენ, ზოგნი კი ამტიკებდნენ, რომ უბედურობას ვერც სსხი მოსპავს და ვერც კანონები, საქონლა რენდლორდების გარეკვა და მიწის ჩამორთმევა. ირლანდიელების ხსნა შეიძლო მხოლოდ ინგლისის პარლამენტს, მაგრამ 1831 წლამდრს ირლანდიელებს უფლება არ ჰქონდათ კანონმდებლობაში მონაწილეობა მიეღოთ. მათ ნება ჰქონდათ დებუტატების არჩევსა, მაგრამ კათოლიკეს არჩევა აკრძალული იყო. ამიტომ ირლანდიელებს ძალაუფლებურად ისევ თავიანთი მმარცველი რენდლორდები უნდა აერჩიათ, რომელნიც, რასაკვირველია, ისევ თავიანთთვის იზრუნებდნენ და ოდნავადაც არ შეუშლუბუქებდნენ ტანჯვას გლეხს. 1831 წელს ირლანდიელებსაც მიეცათ საარჩევნო უფლება, მაგრამ რას ვახდებოდა ერთი მექა ირლანდიელი დებუტატი მძლავრ რენდლორდებთან?

1846 წელს ქალაქ დუბლინში ირლანდიის ყოველკუთხიდან ფერმერები შეიკრიბნენ, თავიანთ მდგომარეობაზე მოილაპარაკეს და დაადგინეს: საქონლა ისეთ განსაკუთრებულ კანონების გამოცემა, რომელნიც რენდლორდების თვითნებობას ბოლოს მოუღებდნენ; საიჯარო ფასი უნდა დააწესონ ისეთმა შეამაგლებმა, რომელნიც ამ საქმეში დანიტერესებულნი არ არიან; როცა მოიჯარადრე იჯარით აღებულ მიწას სხვას გადასცემს, მას ნება უნდა ჰქონდეს ახალ მოიჯარადრისაგან სასყიდელი მიიღოს. ფერმერებმა განსაკუთრებული ლიგა დააარსეს და მიანდეს მას ყოველ საშუალების ხმარება, ოღონდ კი მათი დადგენილება პარლამენტს დაეკანონებია. 1852 წელს ლიგამ 50 დებუტატი არჩია ამ დებუტატებმა დაწვრილებით გააცნეს ინგლისის პარლამენტს ირლანდიელ გოგბთა მდგომარეობა, მაგრამ რენდლორდები მაინც ვერ გასტყებეს. გარდა ამისა მათ შორისაც უთანხმოება ჩამოვარდა, რის გამო თავიანთ მიზანს ვერ მიადწიეს და შესაფერი კანონები ვერ მოიპოვეს.

ფერმერთა ლიგა რეგალურ, კანონიერ გზას ადგა და დარწმუნებული იყო, რომ იგი გაიმარჯვებდა, მაგრამ ირლანდიელთა შორის იყვენ ისეთი ელემენტებიც, რომელთაც კანონიერ გზისა და ინგლისის პარლამენტისა არა სწამდათ რა. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ირლანდიის ხსნა მხოლოდ დამოუკიდებელ და პოლიტიკურად თავისუფალ ირლანდიის შეუძლიან. ისინი ქადაგობდნენ ირლანდიის გამოყოფვას ინგლისიდან, საკუთარ პარლამენტის შექმნას და ირლანდიის სრულ დამოუკიდებლობას. ამისთვის, მათს აზრით, სპირო იყო ხალხის მომხადება, შეიარაღებული აჯანყება და ძალით მოპოვება თავისუფლებისა. ეს იდეა პირველად დაიბადა და განვიტარდა ამერიკაში გადასახლებულ ირლანდიელთა შორის. ვადა სახლებელნი ამერიკაში კარგად მოეწყვენ, ეკონომიურად მოღონიერდნენ და თავისუფლად ცხოვრობდნენ, მაგრამ ირლანდიაში დარჩენილ დაჩაგრულ თანამემამულეებს მაინც არ ივიწყებდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მათ გასანთავისუფლებლად. მოკლე ხანში გადახვეწილებმა აუარებელი ფულა შეაკროვეს და შეიარაღებულ აჯანყების მომხადების მოახმარეს. მაგრამ, მარტო ფულით აჯანყების მოხდენა არ შეი-

ძლებოდა, ამიტომაც ამერიკიდან ახალგაზდა ირლანდიელები ათასობით გამოეშურენ ირლანდიისაკენ. შეიარაღებული მხედრების მიზნად დაარქვეს ფინიები. მათი წინამძღოლობა და ბელადობა იკისრა ვინმე სტივენსმა, რომელმაც მთელი ირლანდია 4 ოლქად გაყო. თითო ოლქს ერთი პატარა რაიონებად იყო განაწილებული. თითო რაიონს განაგებდა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც რამდენიმე კაცისგან შეისთავებოდა. კომიტეტის მოვალეობას შეადგენდა ჯგუფების შედარება, ამ ჯგუფების ყველა წევრი დამახებისთანავე შეიარაღებული უნდა მისროლიყო დანიშნულ ადგილზე. აჯანყება 1865 წელს იყო დანიშნული, მაგრამ ინგლისის მთავრობამ ყველაფერი გაავრდა და მთავარი ბილადები დაატყსადა. სტივენსმა თავს უშვეოა. ინგლისის მთავრობა სამი თვის განმავლობაში გათვარებით ეძიბა სტივენსს. ირლანდიის ნაპარკებზე განსაკუთრებული დემები დასკურავდნენ და ყველას თვალ-ყურს ადვირებდნენ. სტივენსი ამ დროს ირლანდიის დედა ქალაქ დუბლინში ცხოვრობდა. ბოლოს პოლიციამ სტივენსის კვალს მიადგო და დააპატიმრა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ სახითოთ ბეოათი ისევ წაუვიდა ხელიდან. 1867 წელს ზამთარში აჯანყებამ იფეთქა, მაგრამ აჯანყებულნი დამარცხდნენ. ხალხი ამისთვის ჯერ არც მომხადებოლი იყო და არც შეიარაღებული. ამერიკელებმა ფინი, გენერალმა ყოთმ განიზრახა ქალაქ ჩესტერში არსენალის აღება, მაგრამ ინგლისის მთავრობამ ეს ამბავიც დროზე ვარავ და კელი დააპტიმრა. გზაში სამი ფინი დავიკა დარაჯეს და კოთი გაანთავისუფლეს. ამ ამბის გამო ინგლისელებმა სამი ფინი ჩამოახჩვეს. იმავე დროს ორმა ფენიმ თოფის წამოთ აათეთქა იმ საპარობოლის კრეფელი, სათაც მათი ამხანაგი იყო დამწყადიოლი. ამ აფეთქების დროს რამდენიმე კაცი მოკვდა და 100 დაიჭრა. ყოველ ასეთ მოქმედებას მოსდევდა მკაცრი სასჯელი, მაგრამ ფინიები სასჯელს არ უწინდებოდნენ და მამაცათ მიდიოდნენ ერთხელივ დასახულ მიზნისკენ. ბოლოს, როცა ინგლისის მთავრობამ რეპრესიებით ვერათერი გააწყო, პარლამენტმა გამოსცა ვანი აკუთრებული კანონი, რომელსაც თერმერთა მდგომარეობა და გაჭირვება უნდა შეიშლუბუქებინა, მაგრამ ამ კანონმა თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოუტანა ირლანდიელებს.

ამ ხანებში ირლანდიაში სასოფლო მეურნეობა მერად დაბალ საფეხორზე იდგა მეურნეობის განვითარებაზე, ტხნიკურ გაუმჯობესობაზე არავინ ფიქრობდა. მიწის პატრონი რენდლორდი შორს იყო, მოიჯარადრე მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ რაც შეიძლება მეტი საიჯარო ფასი აედო, ფერმერი კი დარწმუნებული არ იყო, რომ ერთი წლის შემდეგ მის ნაშრომს არ ჩამოართმევენ, და ამიტომ ტხნიკურ გაუმჯობესობაზე სრულიადაც არ ფიქრობდა. გარდა ამისა ფერმერი იმდენად ღარიბი იყო, რომ მას მანქანების შექმნა სიმზარადაც არ მოეჩვენებოდა. სილატაკე, შიმშილი, სახლების დაწვა, ხალხის ხოცვა და ათასი ბოროტ-მოქმედება მუდმივი და ჩვეულებრივი მოვლენა იყო ირლანდიაში.

1870 წელს ინგლისის პარლამენტმა პირველი ნაბიჯი გადასდგა და ისეთი კანონი გამოცემა, რომლის ძალით მემამულეს ნება არ ჰქონდა უპიზებოდ მიწა წყართნია მოიჯარადრე ფერმერისთვის. თუ მემამულე მოიჯარადრეს დაიპოვდა, მოვალე იყო მისთვის გადაეხდა იმ შრომის ფასი, რომელიც ფერმერმა მოანდობა მიწის გაუმჯობესობას. კანონმდებლებს იმედი ჰქონდათ, რომ ამის შემდეგ ფერმერები მუშაობას შეუდგებოდნენ და მეურნეობას წინ წასწევდნენ, მაგრამ მოტყუვდნენ. 10 წლის განმავლობაში ფერმერებმა 6000-ჯერ უწი-

ვლეს ლე დლორდებს უპიზხოდ მიწის წართმევისთვის, მაგრამ 6000-დან მხოლოდ 2000-მა ფერმერმა გაიმარჯვა. არც მეურნეობამ წაიწია წინ. გლეხმა კარგად იცოდა, რომ, თუ იზრამებდა და მიწის შემოსავალს ასწვდა, მემამულეც იჯარის ფასს მოუმატებდა და ფერმერს ნაშრომს ხელიდან გამოაცილიდა.

1877 წლიდან დაიწყო მოუსაველობა, 1876 წელს ირლანდიიდან გადაიხვეწა 1186 კაცი, ხოლო 1879 წელს — 2508. გაქირავებული ფერმერები ხელმოკრულ შეკავშირდნ და დაარსეს მიწის ლიგა განთქმულ დევიტის მეთაურობით*). პატარაობისას დევიტი და მისი მშობლები სახლიდან გამოაგდეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ვერ მოახერხეს და მემამულეს საიჯარო ფული ვერ გადაუხადეს. დევიტის ოჯახი ლავერტულში გადასახლდა. იქ პატარა დევიტმა ქარხანაში იშოვა სამუშაო, მაგრამ მალე მანქანამ ხელი მოსწყვიტა რისიც იძულებული გახდა მუშაობისთვის თავი დაენებებინა. ამავე დროს ფენიების მოძრაობაც დაიწყო რ ახალგაზდა დევიტიც ირლანდიისკენ გაეშურა. იარაღის შეტანისთვის ირლანდიაში სასამართლომ დევიტს 15 წლის კატორგა გადაუწყვიტა: იქ, საპრობილიეში, დევიტი იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ირლანდიას უშველის მიწა და არა დამოუკიდლობა. საჭირო იყო ჯერ მიწის შოვნა და მერე დამოუკიდებლობაზე ფიქრი.

საპრობილიედან დევიტი შემუშავებულ სამოქმედო გეგმით გამოვიდა და მაშინვე საქმეს შეუდგა. მიწის კავშირს მიზნად ჰქონდა საიჯარო ფასების დაწვეა და მიწის გადაცემა გლეხთა ხელში. ერთი წლის განმავლობაში მთელი ირლანდია ამ ლიგას შეუერთდა. დევიტის მიერ დაარსებულ ლიგას მეთაურად დაუდგა ყველასი საყვარელი, განთქმული და პატივცემული პარნელი, რომელიც მაშინვე გაემგზავრა ამერიკაში, სადაც იქაურ ირლანდიელთა შორის პროპაგანდა დაიწყო და ორ თვეში 70,000 თუმანი შეაგროვა. ბრძოლა გაცხარდა და გაცხოველდა. გაჩნდა ახალი და ამ ჟამად ყველგან განთქმული იარაღი — ბოიკოტი, რომელმაც ხელფები შეუკრა ურჩ მემამულეებსა და მოიჯარადრეებს. ნემამულეებმა ერთი ალიაქითი ასტეხეს და მთელი ირლანდია პოლიციელებით აავსეს. დაიწყო რეპრესიები. დევიტი და მრავალი ხელმძღვანელი მოჭრაობისა დაპატიმრეს. მაგრამ ამან გლეხები უფრო გააბრზა. ბოლოს მთავრობამ დაუთმო და 1881 წ. ახალი კანონი გაშოსცა.

ეს კანონი იმაში მდკომარეობდა, რომ საიჯარო ფასის რაოდენობა უნდა დაეწესებინა სასამართლოს. მემამულისა და მოიჯარადრის ხელშეკრულობას ძალა არ ჰქონდა, თუ იგი სასამართლოსგან არ იყო დამტკიცებული. სასამართლო დაწერილებით იკვლევდა მიწის ღირებულობას, მოსავლიანობას, ხარჯს და შეედევ სწყვეტდა საიჯარო ფასის რაოდენობას, რომელიც 15 წლის განმავლობაში არ უნდა შეცვლილიყო. ლენდლორდს ნება არ ჰქონდა მოიჯარადრე დაეთხოვა, თუ მას საიჯარო ფული დროზე შეჰქონდა ფერმერს არ შეეძლო ფერმის ნაწილი სხვისთვის გადაეცა, მას შეეძლო მთელი ფერმა დაეთმო სხვისთვის, და, თუ დამტკიცდ ბოდა, რომ, მან იჯარით აღებული მიწა გააუმჯობესა და ნაყოფი არ აიღო, ასეთ შემთხვევაში მემამულე მოვალე იყო ფერმერისთვის დაწარაჯი გადაეხადა.

მაგრამ კანონმაც ვერ უშველა რა ფერმერებს. ლენდლორდები იმ ფერმერებს, რომელთაც დროზე ვერ შეჰქონდათ საიჯარო გადასახადი, ფერმას ართმევდნ. 1881 წელს 17

*) დევიტი გარდაიცვალა წრეულს, მისის ვასულს.

ათასი ფერმერი უსახლკაროდ დარჩა. პარნელი მხედრულად და აგიტაციას და ხალხს უჩრევდა ბოიკოტის გზაზე. მთავრობამ მიწის ლიგა მისპო და პარნელი დააპატიმრა. ამან ისე ააღელვა ირლანდია, რომ გლეხებმა პროტესტის გამოსაცხადებლად პირი შეჰქრეს, გაფაცვა მოახდინეს და უარი სთქვეს საიჯარო ფულის გადახდაზე. ბრძოლამ 6 თვე გასტანა. ბოლოს მთავრობამ ამაშიც დ უთმო ირლანდიელებს, გლადსტონმა მოციქული გაუგზავნა საპრობილიეში პარნელს და ჰქითხა, რა პირობებით დამეხმარებით ირლანდიელთა დამშვიდება. პარნელმა მოსთხოვა დევიტის განთავისუფლება, ირლანდიის მთავარმართებლის გამოცვლა და უზრუნველყოფა იმ ფერმერებისა, რომელთაც საიჯარო ფული ვერ გადაიხდესო. გლადსტონი დათანხმდა და პარნელიც განთავისუფლეს.

წინანდელ მთავარმართებლის მაგივრად დანიშნეს გულკეთილი და წყნარი ლორდი კვენდინი, რომელმაც დუბლინში მისვლისთანავე შეცდომით მოჰკლეს ფენიებმა. ინგლისმა გზას გადაუხვია და რეპრესიებს მიჰყო ხელი. პოლიციას უფლება მიეცა ხალხის უსაბუთოდ დაპატიმრებისა, სასამართლოს ნება ჰქონდა მხოლოდ ეკვით ბრალდებული გაემტყუნებია. ამან უარესად გააბრზა ირლანდიელები. სამი წლის განმავლობაში სასამართლოც და ფენიებიც გაცხარებით მუშაობდნ. სასამართლო სსტიკად სჯიდა ბრალდებულთ: კატორგაში გზავნიდა, დიდი ხნით აპატიმრებდა და ახრზობდა. ფენიები რეპრესიებმა ვერ შეაშინეს და მკვლელობას მკვლევლობა მოსდევდა. პარნელი ირლანდიაში დაიღოდა, აგიტაციას ეწეოდა და ხალხს აქეზებდა. მთავრობის მიერ დახურულ „მიწის ლიგის“ მაგივრად მან დააარსა ახალი „ეროვნული ლიგა“.

1887 წელს პარლამენტმა გამოსცა ახალი კანონი, რომელიც ფერმერებს ნებას აძლევდა ხელშეკრულობა გადაესინჯათ და საიჯარო ფასის დაკლება მოეთხოვათ. ასეთ ფერმერთა რიცხვი 1881 წელს 540, 000-ს უდრიდა. 1892 წლამდის ხელმოკრედ გადასინჯეს 338, 000 საიჯარო ხელშეკრულობა და საშუალოდ 20%-ით დასწიეს საიჯარო ფასი. 15 წლის შემდეგ ხელმოკრედ შეუდგნ საიჯარო ფასების გადასინჯვას და კიდევ დასწიეს 20%-ით. ამ რიგად ამ ხნის განმავლობაში საიჯარო ფასმა 40%-ით იკლო. მაგრამ ირლანდიის დეპუტატები ამით არ დაკმაყოფილდნ და ახალი კანონები მოითხოვეს ფერმერთა სასარგებლოდ.

მთავრობა სხვა გზითაც ცდილობდა ირლანდიელ გლეხთა მიმე გვედრის შემსუბუქებას. 1885 წელს პარლამენტმა 50 მილიონი მანეთი გადასდო ირლანდიელ გლეხებისთვის. დაარსდა ბანკი, რომელიც ლენდლორდებისაგან მიწას ყიდულობდა და გლეხებს აძლევდა. გლეხი მოვალე იყო ყოველ წელს თითო ას მანეთზე გადაეხადა სამი მანეთი სარგებელი და ერთი მანეთი თავნი ვალის დასფარავად. 49 წლის შემდეგ ნაყიდი მიწა გლეხის საკუთრებად რეზორა. იმავე წელს დაარსებულ იქმნა რამდენიმე სხვა ბანკი, რომელნიც აუარებელ მიწას ყიდულობდნ და გლეხებს აძლევდნ შეღავათიან ფასებით. 1903 წლამდის 70000 გლეხმა მიიღო მიწა, რომელიც 200 მილიონ მანეთად ღირდა. ამ რეფორმას ის მოჰყვა, რომ შესაკუთრე გლეხთა მდკომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, მოიჯარადრენი კი ისევ წინანდელ გაქირავებაში დარჩნ. იმ ხნეში ირლანდიაში იყო 490,000 ოჯახი, რომელიც მიწით ცხოვრობდა. აქედან 1901 წელს მხოლოდ 138000 ოჯახს ჰქონდა 1/3 დესტინისა, ოჯახის გამოსაკვებათ კი საშუალოდ საჭირო იყო ათი დესტინა.

1903 წელს ირლანდიის მინისტრმა უინდგემმა პარლამენტში ახალი კანონპროექტი შეიტანა. უინდგემი თხოულობდა ირლანდიელ გლეხებისთვის ათას მილიონ მანეთს მიწების შესასყიდად. ეს ფული ინგლისის ხაზინას ნაწილ-ნაწილად უნდა მიეცა ირლანდიისთვის. გლეხი ყოველ წელს იხდის აღებულ ვალის საზღვებელს და თავნ ვალის ნაწილს. იმავე წელს პარლამენტმა ეს კანონპროექტი მიიღო. იგი გლეხებისთვისაც ხელსაყრელი იყო, რადგან ახალ კანონის ძალის გლეხი, ჯერ ერთი, ყოველ წელს იჯარაზე ნაკლებს იხდიდა და მეორე-ბოლოს მიწა იმის საკუთრებად ხდებოდა. ეს რეფორმა მხოლოდ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში განხორციელდება სავსებით, მაგრამ, შედარებით იმასთან, რაც იყო რამდენიმე ათი წლის წინად, უინდგემის გეგმა შესამჩნევ წინსვლად მოხსნა.

დაბრუნდა!

(შემდეგი, „ივ.“ № 14).

მზე მთის იქით გადაესვენა და მთლად მიიმალა. ბუნებამ ისევ თავისი ფერი მიიღო. სამუშაო დღე თავდებოდა: საქონელმა, ფრინველმა. ადამიანმა თავ-თავის ბინას მიაშურა.

მალეობიდან მოისმა ზარის რეკა, რომელიც შორს სივრცეში გაიფანტა და ხალხს კვირა ღამის დადგომა აუწყა.

საღდათს გრილი ნიავი გახუტებულ სახეში სცემდა, უგრძობდა, მაგრამ ის არაფერს გრძნობდა. ერთ სურვილს შეიპყრო მისი არსება და ერთს ჰფიქრობდა, — სახლში მალე მისულიყო.

რა უბედურობა მოელოს სახლში? უცოდინარობა უარესად სტანჯავდა მის გულს.

— ღმერთო, ოღონდ ისეთი არა იყოს რა! — გრძნობით წარმოსთქვა და ზეცაში აიხედა.

აგერ მისი სახლიც გამოჩნდა. გაშვებულნი, კარგად მოზრდილი ძეგლები სახლი, ქუჩყინანი მინგრეულ-მონგრეულ აივანით და უსწორ მასწორო, ნაგვითა და ნაფურტებით საიხე ეზო დაღვრემილად გამოიყურებოდა. ეზოში რამდენიმე ბატს წაგვრძლებინა კისერი და უგზო-უკვლოდ დახეტიალობდა. მიწაში აზოგანგლული, შავი, გამხდარი ღორი დინკით მიწას გაშვებულნი სთხრიდა და დროგამოშვებით ხმა მალდა ღრუტუნებდა. რამდენიმე დეკეული და ხბო ბოსლის კარებს მოსდგომოდა და მოთმინებით უცდიდა, კარებს როდის გაუღებდნენ.

საღდათს გული აუჩუყდა და თვალში ცრემლი მოერია. რა ბედნიერი იქნებოდა, რომ ეს წუთები არაფრით მოშხამოდა! ახლა კი იდგა თვალ ცრემლიანი, შეჭყურებდა გაშვებულ სახლს, სადაც დაიბადა, არე-მარეს, სადაც გაიზარდა, ხეებსა და ბუჩქებს — მის ოცი წლის თანამგზავრთ — და ადგილიდან ვერ დაძრულიყო, თითქოს აქედანვე უნდოდა გაეგო რა, უბედურობა მოელოდა მას სახლში.

კარები ჭრილით გაიღო, კარში გამოვარდა პატარა გოგო და გაქცევა დააპირა, მაგრამ უცნობი კაცი დაინახა და შეჩერდა, კარგა ხანს უყურა, შემდეგ შეჰკვივლა და დაფეთებული სახლში შევიდა.

საღდათმა კიდევაც მიიტანა სახლის კარებს და მძინე შევებში ჩაცმული ქალი, რომლის სახეს თვალი ოდნავ მოჰკრა, წვილით კისერზე შემოეჭნა.

სახლიდან გამოვარდნილმა პატარა ძაღლმა უცნობის დახახულებზე წვილის ხმით წკავ-წყავი მორაო. მას მისცეს ბანი მეზობლის ძაღლებმა.

დედა ქვითინებდა, ჰკოცნიდა, გულში იკრავდა და რაღაცა სიტყვებს ამბობდა.

— მამააა, მამა, მისა მოვიდა, მისაი! — ვენახზე გამომდგარიყო და წვილის ხმით გაჰკიოდა 7 — 8 წლის გოგო.

პატარა ხანს უკან მხარზე ბარ-გადაგდებული ვენახის ღობეზე გადმოხტა გლეხი, რომელსაც გლეხი ქალარა თმა ისე გაზრდოდა და სახეზე მოსდებოდა, რომ გამხდარი, წყლიანი თვალები და უჩანდა. მიბიჯებდა დინჯად, კისერი მალდა აეღო და ჩახუტებულ დადაძვირს თვალს არ აშორებდა. საღდათს რომ მიუახლოვდა, გადაეხედა და რამდენჯერმე აკოცა, შემდეგ ადგებულნი, ამაღლებულის ხმით ცოლს მიუბრუნდა:

— გაჩუმდი, ადამიანო, ამ დღეს მინც ნუ გამიმწ... — სიტყვა ველარ დათავა, გვერდზე გატრიალდა და ჩოხის კალთა თვალზე მიიფარა.

საღდათი მიხვდა, რომ ოჯახში ვიღაცა მოუყვდა, ვინ? არ იცოდა. ამდგრეულის თვლებით უყურებდა ხან დედას, ხან მამს და ელოდა, როდის გააგებინებდნენ უბედურობის მიზეზს.

ეზო ქალებითა და ბავშვებით გაივსო. ბავშვები ათვალნიერებდნენ საღდათს ტანისამოსს და შურის თვლით შესცქეროდნენ ბეჭვირალა ღილებს. ქალებს პატარა ბავშვები აეჩრათ ილიაში, თავს აქნევდნენ და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდნენ.

— ვინ? ვინ მოუყვდა?

დედა აქ იყო, მამა, პატარა ძმები, დები... საღდათი უცბად შეკრთა, ათვალ-ჩაათვალთვალა ყველანი და ხმა-მ-ლლა წამოიძახა:

— ლექსა სად არის?

პასუხის ნაცვლად საღდათს საერთო ქვითინი მოესმა. მამა გვერდზე მიმდგარიყო და მწარე ქვითინებდა მეზობლის ქალები შიგ თვალში შესცქეროდნენ საღდათს; სახე საზარლად დაღმქვრალად და თვალებიდან ღამა-ღუპით ცრემლები გადმოსდიოდათ.

საღდათი მიხვდა საზარელ სინამდვილეს, მუტლები ჩაეკეცა, გული მიღლია და სახლის კიბეზე დაეშვა.

დედა მისი შეშის კუნძზე იჯდა, თავშალი მოეგლიჯა, გაქალარაებული თმა გაეშალა და მოთქმით სტროდა:

— რა ვიცოდი მე, საწყალმა, თუ ჩემს მისას ტირილითა და თავში ცემით შევხვდებოდი... რა ვიცოდი, თუ ერთს შეიღს რომ ვიპოვნიდი, მეორეს დაკარგავდი მე უბედური... ლექსა, შეილოოო, რატომ არ გაიხარებ ჩვენთან ერთად შენი საყვარელი ძმის მოსვლითააო, შეილოო... ჩვენ ვხა... რობთ მი... ხან ნა... ხვით, შენ კი ცივსა... მამ... რე... ში წვე... ხარ სალ... და... თების შტიკებით დახვეტილიი, შეილოოო! ყოველ ფრაზაზე, ყოველ სიტყვაზე გარს-შემოხვეული ქალები ქვითინებდნენ და ცრემლებს იწმენდნენ.

დედის მოთქმა, ქალების უიმეო ბანი, საზარელი, გულსაკლავი სიტყვები ჯოჯოხეთურ მუსიკად ესმოდა ყურში საღდათს და სახე უფრო გააფრთხილ ნადირს მიუგავდა, ვიდრე მწუხარე ადამიანს. კარგად ვერ წარმოედგინა, რა ხდებოდა მის გარშემო. ერთი სურვილი და ჰქონდა, აღარ გაეგონა დედის საზარელი ხმა, არ დაენახა ტანჯვისაგან დამახინჯებული მისი სახე, საღდათს გადვარდნილიყო, მაშორებდა ამ უსიამოვნო გოლის მტანჯავ ბანს.

ტიროლისგან დაოსებული დედა გაყრდა, კისერი გვერდზე გადაუვარდა, ერთს წერტილს მასჩერებოდა, თითქოს იქ თავის ლექსას ჰხედავსო და ახლა სიტყვიერად განაგებოდა:

— აღარა გვყავს შვილი ლექსად, ზამიკლეს შვილი, შტიკებით დამინებრიტეს. არ შვიბრალეს, შვილო, არც იმისი სილამაზე, არც სიამაწვილოვ, არც ვაჟ-კაცობა. არ დანდეს ჩვენი სიღარიბე, სვენი მოხუცებულობა, ვაი მე უბედურს, ვაი ჩაქოლეილს!

ტირილი შესწყდა. ხმას ათარაინ არ იღებდა. პატარა ხანს უკან ქალები აქეთ-იქიდან შეუსხდენ გვირდში ჭირისუჯულს ჭ დასუსტებულო, მიმკვადრებულო ოთახში შეიყვანეს თან შიჰყვენ დანაჩენი ქალიბიჯ. დარჩენ მიხას რამდენიმე ბიძაშვილი და მეზობელი მამაკაცები, რომლებიც მოსულიყვენ მის სანახავად და, ტირილი რომ გაეგონათ, შორი ახლოს გაჩერებულებიყვენ, ხელები მუცელზე დაეწყათ და თავები ჩაქინდრათ.

ისინი მივიდენ სათითაოდ მიხასთან და ხელი გაუწოდეს. მიხამ ყველას ჩამოართვა ხელი, ხოლო ხმა არავისთვის გაუცია.

მეზობლები ჩამოსხდენ ზოგი შეშებზე. ზოგიც კბებზე და სიჩუმეს არ არღვევდენ. კარგა ხნის შემდეგ მიხამ აიღო თავი და იკითხა:

— მითხარით ერთი, ეს რა უბედურობა დაგვატყდა თავზე? რა ნაირად მოხდა?

ერთმა შუა ხნის წვერმოპარსულმა გლეხმა მიიხედ-მოიხედა, ნახა. რომ პასუხს არავინ აძლევდა, და თავჩაღუნულმა დაბალის ხმით წარმოსთქვა:

— სოფლის ბოლოზე მოჰკლეს. მიდიოდა თურმე, თავისთვის, ამ დროს გამოჩნდენ კახაკები და სალდათები, რომლებსაც წინ ერთი აქაური სტრაჟნიკი მოუძღოდა. სტრაჟნიკს დაუძახნია: აი, ეს კაცი რაზეში იყო, მე კარგად ვიცნობო. სალდათები გამოჰკიდებინან, ლექსა გაქვიულა. მიუყოლებიათ თოფები. ერთი ტყვია მოჰხვედრია ბეჭში და იქვე დაკეზულა. შემდეგ მისულან და წაქეულოსთვის კიდევ რამდენიმე თოფი დაუხლიათ. ისე იყო ტყვიებით, შტიკით და ხმლებით დახვრეთილ-დაჩენილი, რომ ცხედარს ვეღარ იცნობდი! — და ამაჟერა იმან და თავი ჩაჰკიდა.

— რა უნდათ აქ კახაკებს და სალდათებს? — იკითხა სალდათმა და მოსაუბრეს თვალბეჭში ჩააცქინდა.

— ერთობა უნდა მოვსპოო! — აქ ხომ ერთი ამბავი იყო. ყველა ერთობას გაიძახოდა და აღარც მთავრობა და არც თავდაზნაურობა ახლო აღარ გაიკარათ. მამასახლისი გადავაყენეთ, მასწავლებელი გავაძვეეთ, ამოვარჩიეთ ასისა და ათის თავები, აღარ ვიხილეთ აღარც სახელმწიფო გადასახადებს და აღარც ღალებს. ქვეყანა ასე ჩადიოდა, და ჩვენც ასე მოვიქვეით. კარგა ხანს ვიყავით ასე, ხმას არავინ არ ავკვამდა. ბოლოს, გაიხედეთ, ერთ დღეს შემოგვეცია ჯარი. შენს მტერს, რაც ჩვენ ღლე დაგვადგა. ზთელი სოფელი გაძარცვეს, ვისაც რამე ნივთი ან ფული ჰქონდა, აღარაფერი შედარჩინეს, ქალებს ნაშუი აკვიხადეს. ერთი ათი ქალი მაინც იწვა ქვეშავებში მძიმე ავადმყოფი. ხოლო ნარტიკაძის ქალს წყაროზე მოასწრეს, ათი კაცი მეტი დახვეოდა... ცოცხალ-მკვდარი ამოვიყვანეთ სახლში. ახლა ყველა გარდასახადები ერთად მოკვთავენ. ერთს სიჩყვით ჩვენს სოფელს სოფელი აღარ ჰქვია, ისე აგვადინეს მტვერი. ახლაც არ გვანებებენ თავს — კვირაში ერთხელ ან ორჯელ მოვლენ ოცი-ოცდაათი კაცი და მთელს სოფელს დაარბევენ ხოლმე. საბუდრიდან კრუხებს იყვანენ და მიაქვთ თანა. მოჰკოეს კიდევ ტიტოს ბიჭი, თედოს ბიჭი დაიქირეს და გადაჰკარგეს. პაატას ისე სცემეს, რომ ახლაც სისხლს აქცევს. ახლა შიშით რამდენი ახდა ავად. ახლა რამდენია ვაკიბებული, ორი დღე და ღამე ტყეში რომ გეყარნით! ვინ მოსთვლის ყველა ამას!... — დამთავრა გლეხმა და გაჩუმდა.

სიჩუმეს არავინ არღვევდა, ყველა ხელ-მეორედ განიცდიდა იმ საზარელ ამბებს. რომლის მოწმენიც იყვენ, მხოლოდ მიხას სხვა გვარი ფიქრები უტრიალებდა თავში, სხვა რამ აწყობდა...

(დასასრული იქნება).

რედაქტორი ფ. გოგინიაშვილი
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

ფოთის სავაჭრო ზიზნაზია აცხადებს, რომ 1 სექტემბრიდან 1906 წ. იხსნება მოსამზადებელი, პირველი და მეორე კლასები. მესამე კლასის გახსნა მსურველთა რაოდენობაზე დამოკიდებული. მოწაფეთა მისაღები გამოცდა (ეგზემენი) მოხდება 5 და 6 ივნისს, აგრეთვე აგვისტოს დამლევს. მოსამზადებელ კლასში მიიღებიან 8—10 წლის ყმაწვილები, პირველ კლასში — 10—12 წლისა და ასე ზევით. თხოვნები ბავშვების მიღებაზე საეგზაზენოდ მიიღება ფოთის ქალაქის გამგეობაში ფოთის საეგო გიმნაზიის დირექტორის სახელზე. თხოვნასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქნას მოწმობები: მეტრიკული, შესახებ წოდებისა და ყვავილის ატრისა.

დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი (3 — 3) ა. ა. იაკულოვი.

განსაკარბიის 129 ძვევითა პოლკი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში კურინის 79 ქვევითა პოლკის ეზოში ამა წლის 9 ივნისს, დღის 10 საათზე საჯარო აუქციონით გაიყიდება 33 ქვევითა დივიზიის ტყვიის მტყორცნელ როტის ზედმეტი 29 ტენი. (2 — 2)

მოითხოვთ ნამდვილი

„ოლოგრიში“ მ. პ. ლემბევილი



ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას ჭ მეტ-ხორცს ძირიან-ფისვიანად, მხოლოდ ეტიყტიუნდა ჰქონდეს. მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22437.

იყიდება ტფილისში — სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (წლ.)

რკინის გზით მგზავრ ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და ისყიდება სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასში ხაინტყრესა ახალი თანამდებოვე რომანი ორ ნაწილად.

ცხ პრეზა და სიყვარული

წიგნი დიდი ზომისაა. დაწერილია ღღევანდელ კითხვებზე, ცოლ-ქმრის კავშირზე და სქესობრივ დამოკიდებულებაზე. დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანით, მაგარ შეყვარული, შეიცავს 350 გვერდს და ღირს მხოლოდ ორი აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „Подна“. Ст. Михайлово, первому билетному кассиру Чархипили. (10 - 5)